საქართველოს მოამბე

№ 9

25 დეკემბერი. კვირეული საპოლიტიკო, სამეცნ. და სალიტ. ჟურნალი 1909 წ.

საშინელი მდგომარეობა.

ასეთ საშინელ მდგომარეობაში, ეხლა რომ არის საქართველო, არასოდეს არა ყოფილა. ვერც ერთი ძველი შავი დრო ვერ შეედრება ეხლანდელსა. წინად ბრძოლით მანც ვინუგეშებდით თავსა, წინად მებრძოლთა სასოწარკვეთილების მოწამენი ვიყავით,—მოწამენი კეთილ-შობილ და გმირულ სასოწარკვეთილებისა, რომელსაც შემდეგ გამარჯვებულთ სიხარული მოჰყვებოდა ხოლმე, დღეს კი ლ-ჩრად, უსიტყვოდ, ხმა ამოუღებლად, რაღაც ბრმა აუცილებლობითა ვკვდებით, თითქოს მთელი ჩვენი ეროვნული ენერგია გამოლეულიყოს და ვერც კი ვამჩნევთ, როგორ ვკვდებით, არც კი გვენაღვლება, რომ საუკუნოდ ვბარდებით ისტორიასა.

აბა შეჰხედეთ როგორ ექცევა ტერრიტორიის საკითხს ჩვენი ერი და დარწმუნდებით, მართალია თუ არა ჩვენი ასეთი სულიერი დაძაბუნება. ჩვენ თვალ-წინ გვეკარგება ის ერთი მკტაველი ტერრიტორია, რომელიც ორი ათას წელს ხმლით დაგვიცვამს, და ყურსაც არავინ იბერტყავს,—თითქოს აქ არაფერიაო, ისე ზანტად ეკიდება ამ საშინელებას ჩვენი აზრი და გრძნობა. ხალხისათვის ტერრიტორიის დაკარგვა იგივეა, რაც მოსახლესათვის სახლის დაწვა, და სად ნახავთ ისეთ ადამიანს, რომ სახლი ეწოდეს და ცეცხლს წყალს არ ასხამდეს დასაქრობად! აკი არც არის არსად ჩვენს გარდა ისეთი ერი, რომ არა სცდილობდეს ტერრიტორიის შერჩენასა. განა პოლონელებმა თვით გერმანია არ დაამარცხეს ასეთ ბრძოლაში, განა რუსინები ეხლა პოლონელებს არ ეომებიან ამავე ნიადაგზედ, და სხვა?—ნურავინ იტყვის,—ღარიბები ვართ და ეს გვიშლის ხელსაო; მართალია, სიღარიბე დიდი და უმთავრესი მიზეზია ჩვენი უბედურებისა, მაგრამ, რაც არის, იმ ძალების შეგროვებასა და გამოყენებასაც რომ არავინ ფიქრობს,—ეს რაღა ღვთის წყრომაა. სად არიან ჩვენი კაპიტალისტები,—**ვინც არიან**,—სად არიან ჩვენი მემამულეები, რომელთაც შეუძლიანთ განგაში მაინც ასტეხონ მთელი საზოგადოების წინაშე ამ საშინელების შესახებ და ნათლად დაგვიხატონ მდგომარეობა საკუთარ ადგილ-მამულთა და აუცილებლობა მათი სხვის ხელში გადასვლისა, თუ საზოგადოებამ არა იღონა რა?—სად არიან ჩვენი ინტელიგენტები, პარტიები, რატომ ხალხში არ არიან მოდებულნი და არ ჩააგონებენ ხალხს, თუ რა საშინელება მოელის ქართველ ერს, თუ ტერრიტორია დაჰკარგა? რას ჰფიქრობენ თვით გლეხები, როდესაც ჰხედავენ, რომ მათ ცხვირის წინ მემამულე მტერს უსახლებს? სად არის გავლენიანი პრესსა, ან სოციალისტური, ან სხვა მიმართულებისა, რომ ყოველ დღე ჩაქუჩივით არ ურახუნებდეს ყველას თავში იმ საანბანო ჭეშმარიტებას, რომ ხალხმა თუ ტერრიტორია დაჰკარგა, იგი ვერ განახორციელებს ვერც სოციალიზმსა და ვერც სხვა რომელიმე იდეალსა? ებრაელები—პირველი მაგალითია ტერრიტორია დაკარგული ერისა, ამიტომაც, თუ გინდ ყველა ებრაელი გასოციალისტდეს, შეუძლებელი და აბსურდი იქნება ებრაელთა სოციალიზმი, რადგანაც ტერრიტორია არა აქვსთ, არა აქვსთ განსაზღვრული საზოგადოებრივობა სივრცის განსაზღვრულ ნაკვეთზედ. თუ გინდ ათასი მარქსი და ლასალი წარმოშვან, მათი სოციალიზმი მაინც გერმანული, ან ფრანგული, ან რუსული იქნება, ებრაული კი არასოდეს!

სად არიან ყველა ესენი?—აქა ბრძანდებიან, მაგრამ სულაც არ ფიქრობენ ამაზედ, ან არა და ტვინი აღარ მუშაობს მათ გოგრაში, გრძნობა არა ღელავს მათ გულში, დაღლილები ერთ ადგილას დაყენულან ნიადაგზედა და სდუმან. კაპიტალისტებმა შექმნეს თავიანთი პირადი ფილოსოფია და „ცხოვრების რკინის კანონის“ ძალით, ბურჟუაზიული კონკურენციის კანონის ძალით, საქართველო კაი ხანია სხვას მიაკუთვნეს. მემამულე ქეიფობს, არშიყობს, ან ვალებს ემალება, ან უსაქმოთ დაყიალობს და თუ საუკუნოებით დაიცვა სამშობლო, საქართველოც მიტომ ჩააბარა საიმედო ძიძას, რომ იგი თბილ აკვანში ეკულება და დღეს „მოსვენება“ უნდა. ესეც რომ არ იყოს, ვის რა

უნდა, — იგი თავის საკუთრებას, მთელს კახეთსა, ან ქართლსა, ჰყიდის ვიზედაც უნდა ხომ არავის ჰპარავს რასმეს, — საკუთრების უფლებით სარგებლობს, და დღეს ხომ სოციალიზმი არ არის, რომ დაუშალოს ვინმემ ეს ყოველად სამართლიანი აქტი! პარტიები ზოგი ფადიშაჰსავით ფირმანს აძლევს ხალხს, — ნებას გაძლევთ იყიდოთ თავად-აზნაურობის მამულები, ზოგიც ძალა გამოლეული „ნწუ-ნწუ-ნწუ-ს გაძახის! გლეხი ისევ ოცნებაშია, მამულები დაგვირიგდებაო, ან წარმოდგენაც არა აქვს, თუ რა მოელის ახლად ჩამოსახლებულ „ძმისაგან“. პრესსა?.. განა საფრანგეთი ან ინგლისია საქართველო, რომ პრესსასრაიმე გავლენა ჰქონდეს! ზოგი „ჩათვლით“ კითხულობს გაზეთს, ზოგს ნახევარი არ ესმის ქართული ტექსტისა, ზოგი გაზეთს წასაკითხავათ კი არა, არამედ სხვა უფრო მისთვის საჭირო საქმისათვის იწერს, ზოგს კი ქართული გაზეთის მაგიერ შუა გულ საქართველოში „Закавказье“ ან „Тифлисскій листокъ“-ი მისდის, რადგანაც მისი ღრმა თვალსაზრისით რუსულ ასოში ათასჯერ მეტი სიბრძნე მოიპოვება, ვიდრე ქართულში. ირგვლივ კი მტერი გვარტყია, შ ნაური „ოთარბეგები“ გარს ახვევიან და ჰყიდიან სამშობლოს, — ქართლს, კახეთს, ბორჩალოს! ჰყიდიან და გვტოვებენ 2 მილიონ ქართველს უბინაოდ და უმომავლოდ. კიდეცა სწყინთ, თუ რამე უთხარით! — ჩვენია და ვყიდითო! აკი დავაარსეთ საადგილ მამულო კომისსიაო! მაინც ვალში წაიღებენ და სხვას დარჩებაო! — თქვენი რომ არის და ჰყიდით, ბატონებო, განა ცხენია, ან უნაგირი, ათასობით დესეტინა მიწა, რომელზედაც ქართველს თავისი ისტორია შეუქმნია და რომელზედაც დღეს მისი მოსისხლე მტერი უნდა დაესახლოს?! განა მაგნაირ გასყიდვაში, უცხო ტომზედ სამშობლოს მისყიდვაში, სხვა ელემენტი არ არის, გარდა დესეტინათა რაოდენობისა და მისი ღირებულების ექვივალენტი ფულისა? საადგილ-მამულო კომისსია რომ დაარსეთ, განა ერთი ნატამალი ჭკუა და აზრი, ერთი გონიერი მოსაზრება ჰქონდა მათ დამაარსებელთ, რომ ასეთ დიდ საქმეს აკისრებდა კომისსიასა და უფულოდ, უსახსროდ სტოვებდა, ან საზოგადოთ თავად-აზნაურობის ფინანსიური სიბრძნე კაკლის ნაპუჭში არ ჩაეტევა, განა ისეთი უსაფუძვლო და მოუფიქრებელი ბიუჯეტი, როგორიც თავად აზნაურობასა აქვს, კიდევ წარმოსადგენია? განა ჭკუა არ უნდა ფულის მოხმარებასა? ის კი ვიცოდით, რომ თავადაზნაურობამ ფულის ხარჯვა არასოდეს არ იცოდა, მაგრამ თუ მათი სიბრძნე და მომავლის ანგარიში იქამდის მივიდოდა, რომ კახეთის რკინის გზა ბოლოს და ბოლოს უცხოელებისთვის დარჩებოდა, თუ უცხო ენაზედ „ოფიციოზების“ გამოცემისათვის ათასობით გაიღებდა, თუ ქალაქის თავს წამლობისთვის ფულს მისცემდენ და კარგადაც ვერ გაცოცხავდნენ ქალაქს მისი „ხამური“ საქციელისათვის და თავის დიდად დამსახურებულ თავის შეურაცხყოფისათვის და სხვა, და სხვა, — ეს კი არ გვეგონა, და თუ სადმე ჩვენ მდგომარეობაში რომელიმე საზოგადოება ასე იქცევა, თუ სადმე რომელიმე ერის ელემენტი, შეძლების მქონე, ჩხირ-კედელაობაზედ ჰფლანგავს ფულებს, ცხვირის წინ როცა ქვეყანა იქცევა — ესეც ახალი ამბავი იქნება ჩვენთვის.

„კაცს სახლი ეწოდა და ეზოში კვესს ეძებდაო“, ზედ-გამოჭრილია ჩვენ თავად-აზნაურობაზედ, მაგრამ კიდევ უფრო ზედ-გამოჭრილია ისეთ ადამიანებზედ, რომლებიც აგენტობასაც კი ეწევიან თავის სამშობლოში უცხოთა დასასახლებლად, — შემდეგი ანდაზა „კაცს სახლი ეწოდა და ხელს მაინც მოვითბობო“! — მერწმუნეთ, კარგი არა გამოვა რა ამ სასიქადულო საქმეთაგან ბოლოს და ბოლოს!

დიახ, საშინელი მდგომარეობაა, პირდაპირ დაღუპვის ალში შევრგეთ თავი. ქართველი ხმლითა და თოფით ბრძოლას იყო შეჩვეული, და შეიძლება ეხლა მიტომ იყოს ზანტად და ლაღად, რომ სანამ თავში არ ჩაარტყმენ, იგი დარწმუნებულია, რომ არავინ ეომება. ჩვენ კი გვგონია, რომ ამ შემთხვევაშიაც არ ამოიღებს ხმას, მაგრამ უბედურება ის არის, რომ არ ვიცით, რომ ხმალზედა და თოფზედ უარესი იარაღით გამოგვიცხადეს ბრძოლა, უკვე შემოიჭრენ ჩვენ ქვეყანაში, დაიპირეს საუკეთესო პოზიციები, ჩვენი კი — არა თუ წინააღმდეგობა ვერ გაგვიწევია მტრისათვის, არამედ ვერც კი ვხედავთ მტერსა, ზოგს დანახვაც არ უნდა, რამდენიც უნდა ეჩიჩინო, და მთვრალივით გამობენტერებული იქით-აქეთ უაზროდ იყურება და გეკითხება, — გეჩვენება, მტერი კი არა ის არისო!...

რა დაგვმართნია! რამ გამოგვაიდიოტა ასე? — დავანებოთ თავი უაზრო ფუსფუსსა და ფართიფურთს. მუზეუმი სტიპენდიები, სკოლები, ქველმოქმედება, თეატრი, ყოველივე დავივიწყოდ დროებით. მთელი ჩვენი შეძლება, ენერგია, გონება, მთელი ჩვენი არსება ზედ დავაწუროთ **საქართველოს** შენახვას, თორემ როცა იგი ამოიშლება კავკასიის რუქიდან, — მერმე თუ გინდ ბრიტიშ-მუზეუმი და ოქსფორდის უნივერსიტეტი ააგე, თუ გინდ შესანიშნავი თეატრი აიშენე, — თუ გინდ გენიოსები აღზარდე, — იგი შენი აღარ იქნება, იგი სხვის ქვეყანაში და სხვის სამშობლოში იქნება. მაგრამ ჩვენ მიწაწყლის მქონეებს რომ ვერაფერი აგვიშენებია, გაბნეულნი და გაღატაკებულნი შეექნით რასმე! — ვეჭიბ. ტყუილად ინუგეშებენ თავსა ებრაელებითა და სომხებით. ჯერ ერთი ჩვენ არც ერთისა არც მეორის ხასიათი არ გვაქვს — მათი ხასიათი საუკუნოებით შემუშავდა, მეორე, — ის დრო წავიდა, როცა ერები „სომხდებოდნენ“ და „ებრაელდებოდნენ“. ეხლა აღარავის

ალარ შეუძლია ასეთი გარდაქმნა. ეხლა დიდ ერთა კაპიტალიზმი წისქვილის ქვასავით დაგვფქვავს ულ-ბად გაბნეულსა და ოხერ-ტიალად შთენილსა!

ეს დავიწეროთ ცხვირებზე ყველამ და სჯობს მთელს ერს მუზეუმებისათვის და თეატრებისათვის კი არა, ტერრიტორიის დაცვისათვის მივმართოთ, —მივმართოთ ყველას მთელის ჩვენის ენერგიითა. თუ სამშობლო დავიცავით,—ყოველთვის ყოველის-ფერს ავაგებთ, თეატრსაც, მუზეუმსაც და უნი-ვერსიტეტსაც,—თუ ვერა,—ვერაფერს და ვერასო-დეს.

ტერრიტორიის დაცვა,—აი რა უნდა იყოს დღეს ერთად-ერთი ჩვენი ლოზუნგი.

ალაროდიელი.

სიზმარი.

I

...და დავსუსტდი... მთისა ძირში
მივეგდე და მივიძინე,
იმავ დროს კი, სიზმრად ძილში,
ეს სურათი შევიძინე:
ცის კაბადონს შავი რიდე
აწუხებდა, ვით ტყვეს ხუნდი,
და სამყარო კიდით-კიდე
ნისლს შთაენთქა. ბინდი-ბუნდი
მეფედ იჯდა, ბატონობდა
და სხივოსან სინათლესა,
სულ ჰკროლავდა, ჰქუხდა, გმობდა,
ფეხით სრესდა სიმართლესა.

II

ალზდგა ქარი. და ცას ფარდა
შეახია... ნისლი ჰქრება...
მსწრაფლ გამოჩნდა... გაიზარდა
ანგელოზთა დასი-კრება...
და ჰგალობდნენ ერთ-ხმად, მწყობრად:
„იშვა ქრისტე,—ვინც ვაებით
განვლო ეს დრო ობლად, ოხრად,—
აწ იხარეთ ქრისტეს მცნებით!.
იშვა ქრისტე .. და მძვინვარეს
ამა ქვეყნის ქურუმ-მძლავრთა
დასცა ზარი, ჩაგრულთ მხარეს
წმინდა დროშა ზე აღმართა!..
მაშ იხარეთ
ინეტარეთ,
სიხარულის ცრემლი ღვარეთ;
ქრისტეს მცნება,
მისწრაფება
მაშვრალთ შორის დაამყარეთ!..

III

გამეღვიძა... და რა ვნახე?:
მტარვალთ ქსელი, შიგ ობობა,
კვლავ იუდას ბნელი სახე..
ღმერთო ჩემო!.. კვლავ მონობა!..
ყვავ-ყორანნი ედემის ვარდს
კვლავ სჯიჯგნიდნენ შესაზარად,
და მტირალ ცას ერთ დროს ლაჟვარდს,
კვლავ ეხვია ნისლი ჯარად!..
ახ, ნუგეში მთლად წამერთო,
ვერ ვაჩერებ ცრემლთა სრბოლას,
და მას შემდეგ ვნატრობ, ღმერთო,
შავ-საფლავში ძილს და წოლას!..

ი. გრიშაშვილი.

აკაკი პარიზში.

მას შემდეგ რაც აკაკი პარიზშია, იქაურ ქართვე-ლობას განზრახვა ჰქონდა აკაკისათვის თავისი პატივის-ცემა და სიყვარული გაეზიარებინა. გვინდოდა მოგვე-წვია სხვა და სხვა მოწინავე რედაქციათა წარმომადგე-ნელნი, თუ პოლიტიკური მოღვაწენი საფრანგეთისა (ორი-სამი). მაგრამ ასეთი ფართე განზრახვა ოცნებად დარჩა. ხოლო 2 დეკემბერს (ახალის სტილით) მოვახერხეთ მცი-რე სერობის გამართვა აკაკის პატივისცემათ. სერობას დაესწრო აკაკი თავის მეუღლით და შვილით, დაესწ-რო აგრეთვე ქალ-ნი ნიკოლაძისა, ნ. ღოღობერი-ძე, შემთხვევით შესწრობილი მომღერალი ნინოშვილი, და მთელ პარიზში მყოფი ქართველობა 50 კაცამდე. სერობა გამსჭვალული იყო ქართულის ელფერით და ერთ სულოვნობით, რამაც აკაკიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შიგა და შიგ სიტყვები ითქვა, რაზედაც აკა-კიც პასუხს აძლევდა ხოლმე. სიტყვა სთქვა გრ. გვე-ლესიანმა, ალ. გაბუნიამ, ი. ჭეიშვილმა, მ. კობერიამ, კატო მიქელაძემ. ალ. ჯანელიძემ, გ. კვიკვიძემ, ალ. ჯავახიშვილმა და სხ.

აკაკიმ რამდენიმე საპასუხო სთქვა. მოვიყვან პირ-ველ პასუხს:

ბატონებო!. ქართველმა სტუდენტობამ რომ ფეხი აიდგა. თავი პირველად პეტერბურგში ამოჰყო. იმ გუნდში, მეც ვერიე, ახალგაზრდა ჯან-ღონით სავსე და იმედებით აღფრთოვანებული. მას აქეთ ნახევარი საუკუნეა, მაგრამ, ჰოი საკვირ-ველებავ, როგორც მაშინ, ახალგაზრდობის დროს, დღესაც კიდევ, ამ მოხუცებულობის დროს, ისევ ისე მიცემს გული, თქვენ შემომხედვარეს... და ჩე-მი სიხარული მით უფრო ორკეცია, რომ აქ თქვენ-თან ერთად ვხედავ მაშინდელ ჩემ ერთ ამხანაგთა-განს ბატ. ღოღობერიძეს. პირველი ბიჯი ყოველ-თვის სუსტია და ჩვენც, როგორც ვფიქრობდით და

რაც გვინდოდა, ვერ მოვახერხეთ: სხვა და სხვა მოულოდნელი გარემოება წინ გვეღობებოდა. მას აქეთ დიდი ხანია!.. სწავლა-განათლებამ, მეცნიერებამ წინ წადგა ბიჯი და თქვენც უკეთეს პირობებში ხართ: თქვენ იზდებით აქ, ამ თავისუფლების ქვეყანაში, სადაც, სხვა რომ არა იყოს რა, ხელს მაინც ვერაფერი შეუშლის თქვენს გრძნობა-გონების გადიდებას!.. აი, ამიტომაც, თქვენგან მეტს თხოულობს სამშობლო და ჩვენი ნაკლი თქვენ უნდა შეავსოთ!. ნურავინ იტყვის იმას, რომ არის კაცობრიობა და არა ნაციაო, ეროვნებაო, და მეც მინდა რომ პირდაპირ კაცობრიობას ვემსახურო!.. ფერადოვანი კაცობრიობა, სხვა და სხვა ნაციის, ეროვნობისაგან არის შემდგარი და თვითოეულმა მათგანმა თვისი საკუთარი ელ-ფერი და საკუთარი „რამეობა“ უნდა შეიტანოს, რომ აივსოს საკაცობრივო ზღვა!.. თვითეულ კაცის, თავისს ნაციასთან თან-შეზდილს, უფრო ნაყოფიერად შეუძლიან იმუშაოს სამშობლოში, ვიდრე გარეთ.. და მართლაც, ვისაც თავისი საკუთარი მშობელი არ უყვარს, იმას შეუძლია მშობლად სხვა შეიყვაროს? ვინც სამშობლოს არ ემსახურება, იმას შეუძლია, რომ უკეთ სადმე გარეთ იმსახუროს? ყველა ამას მხოლოდ გულ-გატეხილობა აფიქრებინებს ადამიანს და თქვენ კი არ შეგშვენისთ გულ-გატეხილობა.. თქვენ ეკუთვნით იმ ხალხს, რომელმაც რუსთველის პირით გიანდერძათ: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსაო“ და იწრთვნებით იმ დიდებულ ქვეყანაში, სადაც გენიოსმა რიშელიემ წარმოსთქვა: „ახალგაზდის ლექსიკონში სიტყვა: „არ შეიძლება“, „არ შემიძლიან“ არ უნდა ეწეროსო“. თქვენც ყოველგვარი გასაჭირი და განსაცდელი უნდა აიტანოთ, უეჭველად მიახწიოთ მიზანს და მომზადებული დაუბრუნდეთ სამშობლოს. თქვენც რომ ამ აზრისა ხართ, ამას მიმტკიცებს დღევანდელი აქ თავის მოყრა და მეტი აღარა დამრჩენია რა სათქმელად.

მხოლოდ ვისურვებ, რომ ამ თავისუფალ ქვეყანაში გაგემდიდრებინათ თქვენი გრძნობა-გონება და მით გაგეხორციელებინათ ქართული მცნება: „მამა შვილმა უნდა შეითვისოს!“

ქ-ნმა ჯ-ტო მიქელაძემ უთხრა: დიდო მგოსანო! დღეს ჩვენთვის უცხოეთის ცივი უჩვეულო ატმოსფერა თბილსა და საამ-ტკბილო გრძნობათ შეიცვალა ჩვენს გულში, და თავი სამშობლოში გვეგულება, მხოლოთ უფრო განათლებულსა და ბედნიერში. ის, რაც ბავშვობიდან სატრფიალო საყვარელი იყო ჩვენთვის, აქ გვყავს იგი, ჩვენი ერის ბურჯი, სათაყვანო აღმზრდელი.

50 წელიწადი იბრძოდი ჩვენი ტანჯული სამშობლოს გამოსახსნელათ, ჩვენი ეროვნულ ცხოვრების აღორძინებლათ. ამ ნიადაგზე ერთხელაც არ შეგწყვეტია არც შენი უკვდავი ჩანგის ჟღერა და არც მამულიშვილური ბრძოლა. კავკასიის მთებიდან შენი „დაფი და ნაღარა“ სხვა და სხვა ხმაზე გაჰკიოდა, რომ სასოწარკვეთილ და მიძინებულ ერისათვის ძილი დაეფრთხო და კვლავ სასიცოცხლო გმირული სული შთაგებერა. ბავშვები გებრალებოდით და ჩვენი სამშობლოს ტანჯვას იმდენათ სუბუქად გადმოგვცემდი, რამდენადაც ნაზი იყო თვით ჩვენი მაშინდელი გრძნობა, ბუნება. ამისათვის ერთი და იგივე შინაარსი წლოვანებისა დაგვარად ხვდებოდა ჩვენს გულს.

„ჰაუ, ჰაუ, ქორონუ ფრენ ამ ეზოში დილ-დილასო
ვერ მიმპარავ, არ გაგატან ჩემს პატარა წიწილასო“—

გვაფხიზლებდი ჩვენ ოდესღაც, შენს პატარა მკითხველთ.

„კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭული ამირანი
არის მთელი საქართველო ბ მტრები კი ყვავ ყორანი.“

ეუბნებოდი დიდებს; და შენი სხივოსანი ბასრი ისრებით, დიდო პოეტო, არღვევდი წყვდიადს, გულს უპრიდი ამ ყვავ ყორნებს და ერეკებოდი მიჯაჭულ სამშობლოს ტკივილების შესამსუბუქებლათ. ამ ბრძოლაში რამდენი დაბრკოლება არ გეღობებოდა წინ, რამდენი მწვავი არ განუცდია შენს ღვთაებრივ ცეცხლით აგზნებულს გულს?!. მაგრამ შენი დიადი უკვდავი სულიერი ძალა, იმდენათ ძლიერი იყო, რამდენათაც ჩლუნგი და უსიცოცხლონი შენი მოპირდაპირენი.

„შეუმზადო მით ქვეყანას თაფლი, ზეცას სანთელიო,
რომ იქ წმინდათ შეიწიროს და ანათლოს აქ ბნელიო
ვინც მე იმ დროს ხელს შემიშლის ქვეყნის მტერი ის არიო,
და მისთვის მაქვს მომართული გესლიანი ისარიო.“

დაჰკიოდი მათ, და ვაი იმ ურჩს, რომელსაც შენი მჭრელი ისარი მიზანში ამოიღებდა. საქართველოს ცამ უკვე გუნდრუკათ გადმოგაკმია თავს შენგან შემზადებული სანთელი და ხალხის სახელით პატარა გოგონამ თავისი უმანკო ნორჩი გულით მოგიძღვნა შენდამი თაფლათ ქცეული ხალხის გრძნობები, რათა სამარადისოთ დაიტკბო, გმირო მგოსანო, ხანგრძლივი ღელვით მრავალ მწვავ განცდილი მებრძოლი გული. აღსრულდა, დიდო მგოსანო, შენი შორს მჭვრეტელობა, რომლითაც გვასულდგმულებდი ჩვენ:

„ნაშთი ძველი დიდებისა არ გამქრალა ჯერაც ყველა,
დღესაც მისი შარავანდით ნიშანს გვაძლევს ცისარ-[ტყელა.“

და ეგ ნიშანი ისე არას ოდეს არ უნახავს საქართველოს, რაც მან თავისი დამოუკიდებულობა დაკარგა, როგორც შენს საიუბილეო დღესასწაულში. ერმა, რომელმაც თავის უკიდურეს მონობის დროს წარმოშობა დიდი აკაკი, იმ ერის მონობის ჯაჭვს ქვეშ დარჩენა შეუძლებელია. ამირანი შეტოკდა,

შეინძრა შენდა პატივისაცემლათ და ამით თავის სიცოცხლის ძალაც დაგვანახვა. ყვავ ყორნები დაფრთხო მისმა შენძრევამ. ვხედავთ უტყუარს ნიმუშებს შენი წინასწარძეტყველების აღსრულებისას:

„მოვა დრო და თავს აიშვებს, ამ ჯაჭვს დასწყვეტს
გმირთა გმირი,
სიხარულათ შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი.“

ამ ნიშნით შევკრებილვართ დღესაც აქ, და გთხოვთ მ ილოთ, დიდო მგოსანო, ჩვენი გულითადი მადლობა იმ მამულის-შვილური და ფაქიზი გრძნობებისათვის, რომელთაც გვიღვიძებდა შენი უკვდავი ჩანგის სიმთა ჟღერა, როგორც ადამიანს და როგორც ქართველს. მოგილოცავ რა სასურველათ დაგვირგვინებულს დიადს მოღვაწეობას, სასოებით ვსვამ შენს სადღეგრძელოს და ვისურვებ მრავალს წელს გვყავდე თავ-მოსაწონებელ ნიმუშათ, ჩვენო სიამაყევ, ჩვენო დიდებავ!

—

მსურს დროს წარვტაცო შენგან განვლილი
მრავალი წელი მწარ-ნაღვლიანი,
და სიჭაბუკეს სიცოცხლის ძალა
მარად ცეცხლ-მფრქვევი იმედიანი.

—

ორთავე ერთათ მსურს დაგიბრუნო
ძვირფას სიცოცხლის სადღეგრძელებლათ,
მით ხნოვანების ჩამოგხსნა ტვირთი
ძალის და ღონის შესაზავებლათ.

—

რომ ჩვეს სამშობლოს, შენს ტურფა სატრფოს
ბრძოლისა ველის ჰყავდე მაშველათ,
კიდევ და კიდევ ნაღარას სცემდე
მის ტყვეობიდან გამოსახსნელად!

აკაკიმ უპასუხა: როცა შეტყობა უნდათ წინდაწინ ამინდის, ბარომეტრში ჩაიხედვენ ხოლმე. რომელიმე ხალხის გაცნობა თუ გვინდა, ჯერ ქალები უნდა გავიცნოთ, როგორც ეროვნების ბარომეტრი. როცა საქართველო სადაროს იდგა, მაშინ ქართველი ქალიც, როგორც დედა, როგორც ცოლი და როგორც მოქალაქე განთქმული იყო. იმ საუკუნეში რომ საქართველო დასცეს, ეს დაკნინება ქალებს უფრო დაეტყოთ: დღეს ბევრ ქალს ნახავთ ჩვენში, რომ დავიწყებული ჰქონდეს მისი „წმიდათა წმიდა“ და ქართულად ვეღარ ლაპარაკობდეს!.. თუ არ სოფლელი ქალი, სხვები მიწერ-მოწერას ერთმანეთში ვეღარ ახერხებენ თუ არ უცხო ენაზე. სასწავლებელს ათავებენ და თავს მათი მართლულობენ, რომ არ გვასწავლიანო!... მაგრამ ეს ტყუილი თავის მართლებაა. იქ, სადაც შობილან და სადაც გაზდილან, ადვილია ენის შესწავლა, რომ გულიდან ამოფხვრილი არ ჰქონდეთ სრულიად ქართველობა!.. ქართველი ქალები რომ ერთად მოიყრიან ხოლმე თავს, უცხო ენაზე ლაპარაკობენ და ერთ მათგანს რომ შეეშალოს, ვერ გამოსთქვას კარგად იმ უცხო ენაზე სხვები საცინლად აიგდებენ, და ქართული რომ სულ არ იციან, ის არაფერი! ამის შემხედავი, იმედ მიხდილი ვიყავ ამ სიბერის დროს, მაგრამ ახალმა მოძრაობამ სხვა დამანახვა: ახალ-გაზდა ქალები მზათ იყვენ, რომ სამსხვერპლოდ თავი დაედვათ საქმისათვის. სწორი გზით მიდიოდენ თუ არა, ამაზე ახლა არაფერს ვიტყვი. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ დღევანდელმა ქალებმაც სული ძველებური დედების გამოიჩინეს საკეთილდღეო მასალა შერჩენიათ და იმედია, რომ დროის შესაფერად კიდევ აღადგენენ ძველ სახელს. ეს პირველი ბიჯი თქვენ შეგხვდათ და საჭიროა, რომ წარმართად გადასდგათ!.. ვისურვებ ამ უცხოეთში, თავისუფალ ქვეყანაში, თქვენს წარმატებას, რომ კეთილად დაუბრუნდეთ სამშობლოს.

ბოლოს აკაკიმ ექსპრომტად დექსით მიმართა კრებას, რაშიც აღტაცებული ტაშისცემა გამოიწვია:

ახალგაზდობას

—

ეს ჩემ თავზე რა მოვიდა? სადა ვარ?
სიზმარია, თუ სასიზმრო ზღაპარი?
მოხუცებულს და ბნელში მყოფს აქამდე,
რად ამინთეთ სიხარულის ლამპარი?

—

მოგიყრიათ თავი ახალგაზდობას
და მადლს უხდით ჩემს მგოსნობას და გრძნობას,
რომ დაატკბოთ მაგით ჩემი სიბერე?
მეც თაყვანს ვსცემ თქვენს სიყვარულს და ~~გრძნობას~~!

—

მაგრამ მე კი, თქვენ რომ გინდათ, ის არ ვარ!...
სხვა იქნება მომავალი ის გმირი!!
მე უბრალო მაზეზი ვარ „დღეის-დღის“.
იმ „მომავლის“ აჩრდილი ვარ და პირი!

—

ჩემ სუსტ შრომას თქვენ აჭარბებთ თანგრძნობით!
საამისო აბა რა მომიცია?
ეს ეკუთვნის, ვიმეორებ, „მომავალს“
და იმისი არის რეპეტიცია!...

—

მე, ნამდვილ გმირს, საეროს, თქვენ საკადრისს,
თქვენი წრიდან, თქვენგანვე გამოველი,
და ვისურვებ, რომ თქვენს ცდასა და შრომას
უცხოეთში მოემართოს აწ ხელი.

ნარკვნი.

მგოსანს.

—

თუ შენ ამღერებ ბულბულსა,
დაათრობ ვარდის ბუჩქზედა,
მეც შენ ჰანგებზედ ვიმღერებ—
შენს დაკრულ ჭიანურზედა!

თუ შენ დაეძებ სატრფოსა,
ვინც დაგიკოდა გულია,
მეც შენებრ ვეძებ სიყვარულს, –
მისი დანახვა მწყურია!!

მიმძინებოდა სევდიანს,
ჯერ მზე არ ამოსულიყო;
სიზმრები შორს დამათრევდნენ—
ამაში დრო გასულიყო!..

შევხედე ცისა კამარას,
ვარსკვლავი მიმალულიყო,
ღრუბელს მოეცვა ჰ ერი—
მზის შუქი დაფარულიყო

მივედი ვარდთან დილაზედ,
ბულბული არ მოსულიყო?!
კოკორმა თავი დაჰკიდა—
მით ველარ ვკითხე სულიკო!

გადაიყარა ღრუბელმა
მზემ სტყორცნა მიწას ისარი,
შენ რომ დაეძებ, დასტირი?
ჩემი სულიკოც ის არი!!

ეგებ იქ იყო მახლობლად,
შვილებზედ გულ ნაკლულია?
ჭირ გარდახდილი დაბრუნდეს—
მოგფინოს სიხარულია?!...

ნინო ორბელიანი.

თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო კომისია

და

მისი მოქმედება

როდესაც ჩვენს თავად-აზნაურობას ეტყვიან: თქვენ თავად-აზნაურული ტენდენციები გაქვთ, თავად აზნაურული ფსიხიკა გამოქმედებთ, ყოველ საკითხსა, ყოველ მოვლენას თავად აზნაურულ თვალთა საზრსიით გაზომავთ და გაარჩევთო, ყოველი წევრი თავად-აზნაურობისა აღელდება, წელში გასწორდება, კისერს მოიღერებს და ამაყად გასცემს პასუხს: უკაცრავად, ჩვენ რუსის თავად-აზნაურნი არა ვართ, ჩვენ ვართ ქართველი და ყველაფერს ისე ვუყურებთ როგორც ქართველი და არა როგორც ერთ-ერთი წოდება ქართველი ერისა, და მაგალითებს ბევრს ჩამოგითვლის, უწინარესს ყოვლისა კი მიგითითებს მის მიერ დაარსებულ საადგილ მამულო კომისიაზე. „ეს კომისია არსებობს ყველასთვის, გინურჩევლად წოდებისა, ის დახმარებას უწევს გლეხსაც და თავადსაც, ის ემსახურებაო ეროვნულ საქმეს და ამ-თან იმ გვარად გააზვიადებს როგორც კომისიის „დიად“ მნიშვნელობას ისე მის მიერ გაკეთებულ საქმეებს, რომ ადამიანს, თუ ის დაახლოვებით არ გასცნობია ამ კომისიის მოქმედებას, ეგონება ქართველი ერის ბედ იღბალი ამ კომისიის ხელთა და ამ ორ-სამ წელიწადში ადვილად გადასწყვეტს აგრარულს საკითხს და მასთან ერთად ტერიტორიალურ საკითხსაცაო. მაგრამ ვინც ჩაიხედავს საქმის სიღრმეში, ვინც არ მოისურვებს განგებ თვალების ახვევას და ვისაც მართლა რომ გული შესტკივა ეროვნულ საქმისათვის და ვინც მთელი თავისი არსებიდან ერთხელვე განუდევნია თავად-აზნაურული პსიხიკა, ე. ი. დონკიხოტური რაინდობა, ტრაბახი და ტრაბახის სისრულეში არ მოყვანა, ცალიერი გრძნობა, თუ გინდ კეთილშობილურიცა, მაგრამ იქვე მეორე დღესვე, გულში ჩაკლული და ჩაფეფლილი, სპარსული პოლიტიკიანობა და თეორისა და შავი სისხლის გარჩევა—ის ადვილად მიხვდება რომ ეს მათი დაარსებული კომისია ან უაზრო და უკეილო ტრაბახის ნაყოფია ან და თვალთმაქცობა ხალხის დასაბრმავებლად გამოგონილი: რომ საარაკო ბუზივით, ვისაც შეხვდებიან გზაზე, ყველას უთხრან: ჩვენ ვხნავთ, ან ვხნავდით.

სხვაფრივ არაფრით არ აიხსნება ის გარემოება, რომ კომისია დაარსეს, ფული კი მხოლოდ ქალალდზე მისცეს, სხვაფრივ არ აიხსნება ის შედეგი, რომ თავის მოქმედების დასაწყისიდან დღემდის ეს კომისია *) თამაშობს დალალის, იქნება ეს სიტყვა შეურაცყოფად იქნეს მიღებული, ვსთქვათ, კომისიონერის უბრალო როლს, კომისიონერისა, რომელიც ზის თავის კანტორაში დილის 9 საათიდან შუადღის სამ საათამდე, არიგებს გლეხებს მემამულესთან, მემამულეს გლეხებთან და მორიგებულ ფასს ერთ გამოართმევს ხელიდან და მეორეს ჩაუდებს ხელში. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დალალი, კომისიონერი გარიგებაში ფასს იღებს, კომისია კი არა, ის უფასოდ სწევს თავის შრომას და ესა აქვს მას სატრაბახოდ, ამისთვის ელის ის ჩვენგან გუნდრუკის კმეესა და ტაშის ცემას.

ესაა საქმე? ამაში მდგომარეობს ეროვნული საქმის სამსახური? ამით უნდა გადასწყვიტოს თავად-აზნაურობამ აგრარული საკითხი? ამით უნდა დაიცვას თავის ერის ტერიტორია, რომელიც მას ზღაპრულ ხალიჩასავით ფეხ-ქვეშ ეკლება?

ან იქნებ არ იცის არც თავად-აზნაურობამ

---

*) ყველა ეს, რასაც ჩვენ აქ ვამბობთ სრულიად არ ეხება ბ. ალ. ყიფშიძეს, რომლის შრომა დაუფასებელია, მაგრამ რა ჰქნას, რომ სამოქმედოდ ფული არ მისცეს.

და არც მისმა „პირმშო შვილმა“ კომისიამ, რომ ქართველ ერს ტერიტორია მართლა ფეხ-ქვეშ ეცლება?

თუ არ იცის, უნდა იცოდეს! და თუ იცის, მისი მოქმედება გასაკიცხია, ვიტყვით მეტსაც, ბოროტ-მოქმედებაა!

დაუგდეთ ყური, რა ხდება ჩვენს გარშემო.

როგორც შავი ყორნები მინდორში დაგდებულს ლეშს, დასტრიალებენ ჩვენს ტერიტორიას „უცხო ტომის ხალხნი, „ხოდოკები“, კომისიონერები“, აგენტები (ამ უკანასკნელთა შორის ბევრი ქართველი თავადია), დაძრწიან სოფელ-სოფელ, მემამულეთა ოჯახებში და სადაც კი დაინახავენ ისეთ ველსა და მინდორს, სადაც ქართველი გლეხის ქოხი არა სდგას ზედ, ხოლო მარტო ჰხნავს და სთესს და თავისი წლიური სარჩო მოაქვს, დაადებენ ზედ ფეხს და მივლენ გაჭირყებულ მემამულესთან: მამული უნდა მოგვყიდო, თუ ფული ბლომად გინდაო. და ჩვენებურ მემამულეს ოღონდ კი მამულის გაყიდვა გაუხსენე, ის ჩოხას არც კი ჩაიცვამს ისე გარბის „Переселенческій пунктъ“-ში ან კიდევ ნოტარიუსთან. რაღაც ციებ-ცხელება დაემართათ როგორც მყიდველებს ისე გამყიდველებს--ქართველ გამყიდველებს და უცხო ტომის მყიდველებს. დღე არ გავა, რომ ათასობით დესეტინა მიწა არ გაიყიდოს, დღე არ გავა, რომ ახალი და ახალი „ხოდოკები“ არ გაჩნდნენ ტფილისში. დღე არ გავა ისე რომ გაყიდვის პირობა არ იწერებოდეს, და როგორ გგონიათ. რამდენი დღეა საჭირო, რომ ქართველი ერის „თავისუფალი“ მიწები სრულიად გაიყიდოს? მგონი, რომ ორი კვირაა საკმარისი და ასეც მოხდა კახეთში და ბორჩალოს მაზრაში. მთელი ივრის ხეობა, სადაც ქართველი გლეხი ხნავდა და სთესავდა, სადაც თავის საქონელს ბალახს აძოვებდა, მთლად გადავიდა უცხო ტომის ხალხის ხელში. ქართველს გლეხს დარჩა მხოლოდ ფერდობი, ტყე და ღრე, სადაც ის მოსახლეობს და სადაც მას აქვს პატარა ბახჩა სახლის წინ და რომელიც ამიერიდან შეადგენს მის ვენახსაც, ბოსტანსაც სახნავსაც, საძოვარსაც და სათიბსაც.

ხალხიც და ჩვენც ვტირით მაშინ, როდესაც რომელიმე სოფელს დროებით ეკზეკუციას ჩაუყენებენ ხოლმე, დღეა კი ჩვენს სოფლებს მუდმივს ეკზეკუციას უყენებენ, მიწა-წყალს ართმევენ, სულს უხუთავენ, სიცოცხლის ნებას მხოლოდ ათი ოცი წლით აძლევენ და ჩვენ ვკომისიონერობთ, ვდალალობთ, ერთ-ორ კომლს გლეხს ვეხმარებით ერთი-ორი მემამულისაგან იყიდოს ერთი-ორი დღიური მიწა და ნუ დაგავიწყდებათ, რომ იმავე დროს ვეხმარებით ადგილობრივ მკვიდრთ—უცხო ტომის ხალხსაც, რადგან თავად-აზნაურულ კომისიის პროგრამაში ეს მუხლიც შედის.

ხელიდან წავიდა და მიდის ალაზნის ხეობა, ივრის ხეობა, მთელი ბორჩალოს მაზრა, გორის მაზრის საუკეთესო ადგილები, „ტილიფონა“, დუშეთის მაზრის საუკეთესო ველ-მინდორი, შავი ზღვის ნაპირებზე სათქმელიც აღარაფერი გვაქვს და ის ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც ნივთიერად უძლურია, ტირის, მხოლოდ ტირის, თავად-აზნაურობა კი, რომელსაც საშვალება აქვს ცოტა-ოდნად მაინც დახმარება გაუწიოს ამ საქმეს, იმავე დღეს, რა დღესაც ჩვენი მიწები სხვის ხელში გადადის და ჩვენ გლეხობას ყელი ეჭრება, იმავ დღეს 50,000 მანათს აძლევს „კახეთიის“ საზოგადოებას, 3000 მანათს აძლევს დეპუტაციას პეტერბ. წასასვლელად, 1,000 მანათით დახმარებას უწევს ერთ-ერთ რუსულ გაზეთს და 1,500 მანათს უდებს ჯიბეში **ქალაქის მოურავს** თავის მოსარჩენად.

არის თუ არა ეს ბოროტ-მოქმედება?

„კახეთიის“ საზოგადოება და მისი საქმე ფრიად სიმპატიურია და ჩვენთვის სასარგებლოც, მაგრამ იქ ასი წევრია, აქ მთელი ქართველი ერი. 50,000 მანათი ამ საზოგადოებას ვერაფერს უშველის, ვინაიდან ეს ფული მისთვის მეტად ცოტაა. ამ ფულით კი ორი ათასს, სამი ათასს დესეტინას შევძენდით ჩვენს გლეხებს. ქართული გაზეთი რუსულ ენაზე დაწერილი, კარგი საქმეა, ავადმყოფ „მოურავის“ დახმარებას უბრალო კაცთმოყვარეობა მოითხოვს, მაგრამ თავად-აზნაურობა ჰხარჯავს 5,500 მანათს, მაშინ როდესაც კომისიას ერთი გროში არა აქვს, რომ თუ ამას საჭიროება მოითხოვს, ერთ-ერთი მისი წევრი სოფელში წავიდეს და გლეხს მიწის ყიდვა ურჩიოს.

მაგრამ მკითხველმა რომ არ იფიქროს, რომ ეს ჩვენი უკანასკნელი მოსაზრება ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია, ე. ი. რომ ამ ფულებით რამდენიმე ათასი დესეტინის შესყიდვა შეიძლებოდა, მოვიყვანთ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს.

ამას წინად ივრის ხეობაზე თავ. ლ. ანდრონიკაშვილმა თავის მოძმეების თანხმობით მიჰყიდა რუსეთიდან გადმოსახლებულ გლეხებ 1,800 დესეტინა მინდორი. მორიგებულნი იყვნენ დესეტინაში ათ თუმნათ. გლეხებმა მისცეს თ. ანდრონიკაშვილებს ბედ ორასი თუმანი და პირობის ძალით მოვალენი გახდნენ 60,000 მანათი ჩაებარებინათ 15 გიორგობისთვეს. ეს ვადა გავიდა და გლეხებმა თავისი პირობა ვერ შეასრულეს და ამითი პირობა დაირღვა, ამიერიდან თავ. ანდრონიკაშვილებს შეეძლოთ ეს მამული ვისთვისაც უნდა იმისთვის მიეყიდნათ. ახლა, მოისმინეთ კარგად, რა ხდება? თავ ლ. ანდრონიკაშვილი მიდის საადგილ-მამულო კომისიაში და ეუბნევა მათ: მყიდველები, რომლებსაც მე გავურიგდი, დღეს რომ მოვიდნენ კიდევაც ჩემთან, მე აღარ მივყიდი, რადგან ამის უფლება მაქვს, მამული კი უნდა გავყიდო, რადგან თუ არ

გავყიდე, ან ბანკი გამიყიდის, ან ჩარჩი-ვაჭარი. აიღეთ ეს ჩვენი მამული, იყიდეთ თქვენ და შემდეგ მიჰყიდეთ იმას, ვესაც გინდათ. ფული არა გაქვთ? ეკითხება თავ. ანდრონიკაშვილი. ფული არ გინდათ. ამ მამულს ჩვენ დაგიმტკიცებთ, რანაირი წესითაც გინდათ. თქვენი საკუთრება რომ გახდება, აიღეთ და დააგირავეთ ბანკში. რაც ფული აიღოთ, მოგვეცით ჩვენ მონაწილეებს, ხოლო დანარჩენი ფული მოგვეცით წვრილ-წვრილად ხუთი, ათი, ოცი წლის განმავლობაში.

ამაზე უკეთესი პირობები, ამაზე მეტი შეღავათი, მგონი, რომ შეუძლებელია! 1,800 დესეტინას უკვე გაყიდულს კომისია საკუთრებად იძენს **უფუ-ფოდ**, თუ არ ჩავთვლით ას-ორას თუმანს წვრილმან ხარჯებს და, როგორ გგონია, მკითხველო, კომისია უარ-ჰყოფს ანდრონიკაშვილის პირობებს: მაგას ბევრი დავი-დარაბა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლიანო (sic!)

აი მეორე მაგალითიც, მხოლოდ ამ უკანასკნელს სულ სხვა ელფერი აძევს. ამ დღეებში თავ. ნ. ბარათაშვილი მივიდა ამ კომისიაში და მოახსენა: ბორჩალოს მაზრაში 1,300 დესეტინა მაჰული მაქვს, მიშოვნეთ მყიდველი ქართველები, თორემ ბერძნები მევაჭრებიან და იძულებული ვიქმნები, იმათ მივყიდოვო. კომისიამ განიხილა ეს წინადადება და დადგინა: რადგანაც ჩვენ ამ ჟამად საშუალება არა გვაქვს ქართველები დავასახლოთ, ნება მიეცეს თავ. ბარათაშვილს მამული ბერძნებს მიჰყიდოსო.

ნება დართეს!!! იქნებ ვინმემ უპოვნოს ამგვარ დადგენილებას შესაწყნარებელი მიზეზები, მე კი კალამი ხელიდან მივარდეა და ჩემი გონება წინ ველარ მიდის.

ნება დართეს!! რა უფლებით?

ვის, როგორ, რანაირად? ვის რა უფლების მიცემა შეუძლიან?!

კომისია აქ ერთის მხრივ უარჰყოფს უფულოდ მამულის შეძენას, მეორეს ნებასა რთავს მამული უცხო ტომის ხალხს მიჰყიდოს, კახეთის გზა-ტკეცილზე კი რომ გაჩერდეთ, ნახავთ, რომ ყოველდღე გამუდმებით ზოგი ფურგუნით, ზოგი ურმით, ზოგიც ფეხით ერთი მეორეს მისდევს იმერეთიდან წამოსული ხალხი ალაზნის გაღმა მიწის საშოვნელადა და დასასახლებლად.

მაშ გვყოლია ხალხი, რომელიც გაურბის სივიწროვეს, ველარ იტანს შიმშილს და ლუკმა პურის საშოვნელად ეძებს თავისუფალ ადგილებს სხვაგან, გლეხკაცის თვალთა საზრით შორეულ კახეთში. მას უნდა მხოლოდ პატრონობა, გზის ჩვენება, გამხნევება და საგლეხო ბანკთან დახმარება, უკეთესად რომ ვსთქვათ, ამ ბანკთან ბრძოლა და ხმის ამაღლება, რომ ეს უკანასკნელი ასე აშკარად და ცხადად არ სჩაგრავდეს ქართველ გლეხს და იმავე დროს ყოველ ღონისძიებას არ ხმარობდეს, რომ რუსის გლეხმა კავკასიაში მამული შეიძინოს.

აი მაგალითიც: საგლეხო ბანკმა, როდესაც თავ. მალხაზ ანდრონიკაშვილის მამულის ყიდვა დააპირეს ქართველებმა, დააფასა ეს მამული 55 მ. ერთი თვის შემდეგ კი იგივე მამული, როდესაც ის რუსის გლეხებმა იყიდეს, იმავე ბანკმა დააფასა 100 მან.

უცხო ტომის ყველა ხალხს ჰყავს თავისი პატრონი, ფულით დამხმარე, გზის მაჩვენებელი, მარტო ერთად ერთი ქართველი გლეხია ოხერტიალი, და ან ზის თავის ქოხში მშიერ მწყურვალი, ან და დაეხეტება მიწის საშოვნელად უგზო-უკვლოდ, ღვთის ანაბარა, სადაც მიაწყდება იქ გაჩერდება, და, ვინ იცის, იქ უარესი სიმშილი არ მოელის!

ვინ იცის, იქნება თავად-აზნაურობამა სთქვას, ჩვენ რას ჩაგვციებიხართ, რა ჩვენი საქმეა, ჩვენ ჩვენი თავისთვისაც ვერ მოგვივლიაო, როგორც წოდებას ეს მას შეუძლიან სთქვას, მაგრამ ჩვენ კი ვიტყვით, რომ არის ერთგვარი მომენტი, მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. როდესაც მას სჭირია დიდი დაფიქრება, დიდი გამჭრიახობა, რომ ის მომენტი, ის მოვლენა შემდეგში სანანურად არ დარჩეს და მთელი თავისი სიცოცხლე სულის ქეჯნით არ დაიტანჯოს. ვაი იმ დედას, რომელმაც თავის ავადმყოფი შვილის მოსარჩენად არ იღონა ყოველი ღონე, არ იხმარა ყოველი საშუალება, რომ შვილი სიკვდილისაგან გადაერჩინა, მთელს თავის სიცოცხლეს ის ტანჯვაში გაატარებს, მაგრამ მაინც ვერ გამოისყიდის იგი თავის დანაშაულობას.

ეს დაფიქრება მართებს არა მარტო ჩვენს თავათ-აზნაურობას, არამედ ყველა ქართველსაც, რომელსაც თავისი მოვალეობა კარგად ესმის და ულმობელი ისტორიის შიში და რიდი აქვს.

აზნაური.

ხელუხლებელი „ტერიტორია“

და საფცარი „ერთობა“.

საქართველოს მიდამოებს ბევრი ისეთი ადგილები აკრავს, გარშემო, რომ ჩვენთვის და ჩვენი ხალხისათვის ძლიერ საინტერესოა მისი ნახვა, დათვალიერება, მათი მცხოვრების გაცნობა და მათ ზნე-ჩვეულებასა და ადათებზე დაკვირვება.

ოდესღაც ლაზისტანი, ანუ „ლაზიკა“, ვიცით რომ საქართველოს ნაწილს შეადგენდა. ის ახლაც მხოლოდ მეგრულად მოლაპარაკე ხალხითაა დასახლებული. მთელი ლაზისტანი წარმოადგენს მთაკლდიან ადგილებს შავი ზღვის პირას, აქვს რამო-

დენიმე მისადგომი ზღვიდან, ნავთსადგური კი, ისეთი საცა გემ-ნავს ზღვაზე შეეძლოს დაბინავება, არსად არა აქვს. თვით ლაზისტანის მცხოვრებნი დიდით დახელოვნებულნი მეზღვაურები არიან და თან მეთევზენი. არც გასაკვირალია, რადგან თითქმის ყველა ზღვის პირებში და ზღვის მახლობლად დგანან; აქვთ ქალაქებიც, თუმცა პატარ-პატარა, მაგრამ სუფთა და ლამაზი, აქვთ სასწავლებლები მეჩეთებთან, საცა ბავშვები პირველ დაწყებით წერა-კითხვას სწავლობენ და ყურანიდან სხვა და სხვა სალოცავებს იზეპირებენ. სწავლა ყოველგან თათრულ ენაზე სწარმოებს, რადგან ლაზებს თავიანთი წერა-კითხვა არა აქვსთ. ყველა მუსულმანებია და ძლიერ სასტიკადაც ასრულებენ მუსულმანობას. ქალები ლაზისტანში უფრო მორიდებულია კაცის თვალისაგან, ვიდრე კონსტანტინეპოლის და სხვა მუსულმანთა ქვეყნებისა და ქალაქებისა. ზნეობა უმაღლეს წერტილამდის არის დაცული, მთელს ლაზისტანში ვერც ერთს ცუდი ყოფაქცევის ქალს ვერ ნახავთ. ასეთი ზნეობის შედეგი უნდა იყოს უეჭველად ის საოცარი მოვლენა, რომ ქალი და კაცი, დიდი და პატარა ყველა ჯანმრთელია, ვერსად, ვერც ქალაქში და ვერც სოფლებში ვერ შეხვდებით ფერ წასულს, ავათმყოფი სახის მქონე ბავშვებს; ისე არიან ჩასკვნილ დასუქებულნი და ძვალ სხვილნი, რომ მათ ნახვას არა სჯობია რა.

საზოგადოდ ლაზები თითქმის ყველა შეძლებულია. დიდრონი ქვითკირის, ორ ორ სართულიანი სახლები, ბეღელი, ნალია, პხორი პირუტყვებისთვის და სხვა საოჯახო შენობები, თითქმის ყველას აქვს. უბრალო სახლს, შუაზე ცეცხლიანს, იშვიათად შეხვდებით. ერთის შეხედვით თქვენ ძლიერ გიკვირთ ეს მოვლენა ასეთ კლდე-ღრიან ადგილებში, საცა არსად საცალფეხო და ზოგან ცხენის გზის მეტს, ვერც საურმეს, ვერც ურემს და გუთან სახნის ვერ ნახავთ, ამაზე წარმოდგენაც კი არა აქვთ. დიაღ თქვენ გიკვირთ თუ ეს ხალხი, ასე უგზო უკვლოდ როგორა ცხოვრობს და რაც უფრო გაგაკვირვებთ—ასე მდიდრად და რიგიანად მოწყობილნი როგორ არიანო? მხოლოდ როცა ახლოს გაეცნობით მათ ცხოვრებას, გაიგებთ მათს ქალისა და კაცის, დიდისა და პატარას განუწყვეტელ შრომის მოყვარეობას, თქვენ ადვილად მიხვდებით მიზეზს მათი ასეთი კარგად მოწყობისას. აი როგორ არის მოწყობილი უბრალო გლეხის ოჯახი:

სახლი უეჭველად ორ სართულიანია და ქვითკირის, ხე-ნარევი; ჯერ ჩაყრიან ქვისს აძირკველს და ამოაშენებენ ქვითკირით.. ასე ორ ნახევარ—სამი არშინის სიმაღლეზედ, შემდეგ-კი ამაზედ დააშენებენ წაბლის ხის ბალავერებს, ამ ბალავერებზედ დაასობენ ხშირს, ირიბულ სვეტ-ბანდებს, ისე რომ ამ სვეტ ბანდებს შუა რჩება ოთხ კუთხი, ნახევარი არშინის ოდენა ცარიელი ადგილები, ამ ადგილებში კი, ჩააშენებენ ოთხ-კუთხსავე, განგებ გათლილს ქვებს, უფრო რიყისას, და ცემენტით ამოუშენებენ ხოლმე კედლებს; კარ სარკმლები წაბლის ხისაგან აქვს ასეთს სახლებს, იატაკ-აივანიც წაბლისაა. დახურული მეტ შემთხვევაში კრამიტითაა, ზოგან ყავრითაც, ამავე სართულში არის მოთავსებული საკუჭნაო, სამზარეულო, სალარო და ორი განყოფილება „სალამიკ"—საკაცეთო და ჰარემლიკ—საქალებო. თითო განყოფილება შესდგება ორ, ან სამ და ხან მეტ ოთახიდან. ორის ნაკლები კი იშვიათად არის. მოწყობილი აზიურ გემოვნებაზეა, მაგრამ სუფთად და ლამაზათ, ხალიჩით და ნოხ-ფარდაგებით, უმეტეს შემთხვევაში შინაურობაში მოქსოვილით. ხელსაქმე საზოგადოთ ლაზების ცოლებმა და საზოგადოთ ქალებმა საერთოდ ყველამ იცის, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ყოველი კუთხე მათი სახლისა, რაღაც ნაკერ-ნაქსოვით არის მოფარდაგებული; მუთაქები, ბალიშები, საბნები და სხვა საოჯახო სამკაულები სულ თუ არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც ქალების ხელსაქმით არის გამოლამაზებული. სასტუმრო ოთახის იატაკი სრულიად მოგებულია, გარშემო მოგებულივე ტახტია შემოყოლებული, სასტუმრო ოთახის ოთხივე კუთხეში თითო ოთხ კუთხი ლები აგია და ირგვლივ მუთაქები აქვს შემომწკრივებული, სარკმლებს ყოველგან ფარდები აქვს. წყალი თითქმის ყველას სახლში აქვთ გამოყვანილი ხელ პირის საბანად და აბანოსთვისაც. უაბანოვო სახლი არ შეიძლება, თუმცა უბრალოდ ხელით სათბობი თუნგით იბანენ ხოლმე ტანსა, მაგრამ მაინც აქვს ყველა სახლს ერთი პატარა ოთახი, საცა ორი კაცი მოთავსდება თავისუფლად და ერთმანეთის საშველებით ანდა მარტოკაც ტანს დაიბანს ხოლმე. სისუფთავე უმაღლეს წერტილამდის არის აყვანილი, ხელ ფეხ დაუბანელი და პირ გამოურეცხელი არც ქალი არც კაცი, არც დიდი, არც პატარა საწოლში არ შევა. საჭმელ-სასმელი სუფთაა და გემრიელი, ალაგ ალაგ არაყსაც სვამენ, ღვინო კი არსად არ მოიპოვება, თუმცა ვენახი და ყურძენი საკმაოთ არის. უფრო კი ადესისა, „იზაბელა". მოსახლეს ვერ ნახავთ ისე, რომ ძროხები არ ყავდეთ, ბევრგან თხებიც. ცხვრებიც ჰყავთ, ყველანი მეწველია უეჭველათ. ხარი კუროს გარდა არ მოიპოვება, ცხენიც ძლიერ იშვიათია, ზოგან ჰყავთ ჯორები, განსაკუთრებით ტვირთისთვის, ქვის და სხვა მძიმე მასალის საზიდავათ. საინტერესოა მათი წყლის საზიდავი მანქანა; სადაც წყალი ახლოს არ არის, იქ აქვთ ერთნაირი ბრენსბერგისებური მავთულები გაბმული, რომელსაც აქვს ზედ მოწყობილი ვედრა, ამ ვედრას აბია ბაწარი, რომელიც არის სწორედ წყლის ტბასთან რგოლში გამოყრილი; ერთის მხრით, გაუშვებენ ამ ვედრას რკინის მავთულზე

გავყიდე, ან ბანკი გამიყიდის, ან ჩარჩი-ვაჭარი. აიღეთ ეს ჩვენი მამული, იყიდეთ თქვენ და შემდეგ მიჰყიდეთ იმას, ვესაც გინდათ. ფული არა გაქვთ? ეკითხება თავ. ანდრონიკაშვილი. ფული არ გინდათ. ამ მამულს ჩვენ დაგიმტკიცებთ, რანაირი წესითაც გინდათ. თქვენი საკუთრება რომ გახდება, აიღეთ და დააგირავეთ ბანკში. რაც ფული აიღოთ, მოგვეცით ჩვენ მონაწილეებს, ხოლო დანარჩენი ფული მოგვეცით წვრილ-წვრილად ხუთი, ათი, ოცი წლის განმავლობაში.

ამაზე უკეთესი პირობები, ამაზე მეტი შეღავათი, მგონი, რომ შეუძლებელია! 1,800 დესეტინას უკვე გაყიდულს კომისია საკუთრებად იძენს **უფულოდ**, თუ არ ჩავთვლით ას-ორას თუმანს წვრილმან ხარჯებს და, როგორ გგონია, მკითხველო, კომისია უარ-ჰყოფს ანდრონიკაშვილის პირობებს: მაგას ბევრი დავი-დარაბა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლიანო (sic!)

აი მეორე მაგალითიც, მხოლოდ ამ უკანასკნელს სულ სხვა ელფერი აძევს. ამ დღეებში თავ. ნ. ბარათაშვილი მივიდა ამ კომისიაში და მოახსენა: ბორჩალოს მაზრაში 1,300 დესეტინა მამული მაქვს, მიშოვნეთ მყიდველი ქართველები, თორემ ბერძნები მევაჭრებიან და იძულებული ვიქმნები, იმათ მივყიდოვო. კომისიამ განიხილა ეს წინადადება და დაადგინა: რადგანაც ჩვენ ამ ჟამად საშუალება არა გვაქვს ქართველები დავასახლოთ, ნება მიეცეს თავ. ბარათაშვილს მამული ბერძნებს მიჰყიდოსო.

ნება დართეს!!! იქნებ ვინმემ უპოვნოს ამგვარ დადგენილებას შესაწყნარებელი მიზეზები, მე კი კალამი ხელიდან მივარდება და ჩემი გონება წინ ველარ მიდის.

ნება დართეს!! რა უფლებით?

ვის როგორ, რანაირად? ვის რა უფლების მიცემა შეუძლიან?!

კომისია აქ ერთის მხრივ უარჰყოფს უფულოდ მამულის შეძენას, მეორეს ნებასა რთავს მამული უცხო ტომის ხალხს მიჰყიდოს, კახეთის გზა-ტკეცილზე კი რომ გაჩერდეთ, ნახავთ, რომ ყოველდღე გამუდმებით ზოგი ფურგუნით, ზოგი ურმით, ზოგიც ფეხით ერთი მეორეს მისდევს იმერეთიდან წამოსული ხალხი ალაზნის გაღმა მიწის საშოვნელადა და დასასახლებლად.

მაშ გვყოლია ხალხი, რომელიც გაურბის სივიწროვეს, ველარ იტანს შიმშილს და ლუკმა პურის საშოვნელად ეძებს თავისუფალ ადგილებს სხვაგან, გლეხკაცის თვალთა საზრით შორეულ კახეთში. მას უნდა მხოლოდ პატრონობა, გზის ჩვენება, გამხნევება და საგლეხო ბანკთან დახმარება, უკეთესად რომ ვსთქვათ, ამ ბანკთან ბრძოლა და ხმის ამაღლება, რომ ეს უკანასკნელი ასე აშკარად და ცხადად არ სჩაგრავდეს ქართველ გლეხს და იმავე დროს ყოველ ღონისძიებას არ ხმარობდეს, რომ რუსის გლეხმა კავკასიაში მამული შეიძინოს.

აი მაგალითიც: საგლეხო ბანკმა, როდესაც თავ. მალხაზ ანდრონიკაშვილის მამულის ყიდვა დააპირეს ქართველებმა, დააფასა ეს მამული 55 მ. ერთი თვის შემდეგ კი იგივე მამული, როდესაც ის რუსის გლეხებმა იყიდეს, იმავე ბანკმა დააფასა 100 მან.

უცხო ტომის ყველა ხალხს ჰყავს თავისი პატრონი, ფულით დამხმარე, გზის მაჩვენებელი, მარტო ერთად ერთი ქართველი გლეხია ოხერტიალი, და ან ზის თავის ქოხში მშიერ მწყურვალი, ან და დაეხეტება მიწის საშოვნელად უგზო-უკვლოდ, ღვთის ანაბარა, სადაც მიაწყდება იქ გაჩერდება, და, ვინ იცის, იქ უარესი სიმშილი არ მოელის!

ვინ იცის, იქნება თავად-აზნაურობამ სთქვას, ჩვენ რას ჩაგვციებიხართ, რა ჩვენი საქმეა, ჩვენ ჩვენი თავისთვისაც ვერ მოგვივლიაო, როგორც წოდებას ეს მას შეუძლიან სთქვას, მაგრამ ჩვენ კი ვიტყვით, რომ არის ერთგვარი მომენტი, მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. როდესაც მას სჭირია დიდი დაფიქრება, დიდი გამჭრიახობა, რომ ის მომენტი, ის მოვლენა შემდეგში სანანურად არ დარჩეს და მთელი თავისი სიცოცხლე სულის ქენჯნით არ დაიტანჯოს. ვაი იმ დედას, რომელმაც თავის ავადმყოფი შვილის მოსარჩენად არ იღონა ყოველი ღონე, არ იხმარა ყოველი საშუალება, რომ შვილი სიკვდილისაგან გადაერჩინა, მთელს თავის სიცოცხლეს ის ტანჯვაში გაატარებს, მაგრამ მაინც ვერ გამოისყიდის იგი თავის დანაშაულობას.

ეს დაფიქრება მართებს არა მარტო ჩვენს თავათ-აზნაურობას, არამედ ყველა ქართველსაც, რომელსაც თავისი მოვალეობა კარგად ესმის და ულმობელი ისტორიის შიში და რიდი აქვს.

აზნაური.

ხელუხლებელი „ტერრიტორია“

და სატცარი „ერთობა“.

საქართველოს მიდამოებს ბევრი ისეთი ადგილები აკრავს გარშემო, რომ ჩვენთვის და ჩვენი ხალხისათვის ძლიერ საინტერესოა მისი ნახვა, დათვალიერება, მათი მცხოვრების გაცნობა და მათ ზნე-ჩვეულებასა და ადათებზე დაკვირვება.

ოდესღაც ლაზისტანი, ანუ „ლაზიკა“, ვიცით რომ საქართველოს ნაწილს შეადგენდა. ის ახლაც მხოლოდ მეგრულად მოლაპარაკე ხალხითაა დასახლებული. მთელი ლაზისტანი წარმოადგენს მთაკლდიან ადგილებს შავი ზღვის პირას, აქვს რამო-

დენილე მისადგომი ზღვიდან, ნავთსადგური კი, ისეთი ს

და მეორეს მხრით მოსწევენ ბაწრით, ვედრა ნელ-ნელა, გინდა ჩქარად ჩაკოცდება ქვემოთ, ამოეს-მის ტბაში, გაივსება და წამოვა ზევით, ისე ადვილათ, ისე მოხერხებულათ, რომ ცოცა კი გინდა ხელათ ცივი ანკარა წყალი შეგიძლიათ ამოიტა-ნოთ და დალიოთ, ეს შეუძლია ყველას, დიდსაც და პატარასაც.

როგორცა ვსთქვით ზემოთ ერთის შეხედვით, როცა ხედავთ, ამ ხრიოკ მთა კლდეებთა შორის ასეთს მოსახლობას, ასეთს სახლს, ეზოს, ბაღჩას და ყანას, გიკვირთ, მაგრამ შემდეგ კი, სულ ცოტა ხნის დაკვირვებისა, თქვენ ძლიერ ადვილად მიხვ-დებით, რომ იქ საცა ასე თანასწორათ, ასე თავ-გამოდებით და მუყაითათ მუშაობს ქალიცა და კა-ციც, დიდიცა და პატარაც, საკვირველი აღარა-ფერია. ქალი ყველაფერ სამუშაოსი თანასწორია კაცთან, როგორც შინაურში, ისე გარეულში რაც, კი ოჯახს და მის მიდამოს კი შეეხება; ქალი მუ-შაობს ყანაში, ბაღჩაში, ტყეში, შინ და გარეთ ან კაცებთან ერთად, ან მარტო, თუ რომ კაცი სა-შოვარზეა, ან სათევზაოთ, ან გარე ქვეყნებში; საზოგადოდ ლაზები მისდევენ თუთუნის კეთებას, მაგრამ თავიანთ ქვეყანაში კი ადგილის სივიწრო-ვის გამო იშვიათათ; ისინი მიდიან ამისათვის სო-ხუმში. ლაზები ბევრია აგრეთვე სტამბოლში მე-ფილუკეებად და სხვა სამსახურში. საზოგადოთ ლაზი ძლიერ მუყაითი და გამრჯელია ყოველივე სამუშაო საქმეში. ბევრი იმთგანი ვაჭრობა აღებ-მიცემობაშიაც დახელოვნებულია. ლაზი სადაც უნ-და იყოს ყველგან თავის ელფერით არის, მას თა-ვი მოსწონს თავის ჩამომავლობით, თავის ლაზო-ბით და ღირსიც არის როგორც ნამდვილი მეოჯა-ხე, ცოლშვილის დიდად, თუმცა კი, თავისებურად, პატივის მცემელი და ნამუსის შემნახავი. იშვიათი მოვლენაა ლაზისტანში, რომ ვინმემ ქალს შეეხოს, თუ კი,—ის ამ შემთხვევაში ვერას გზით ვერ იცო-ცხლებს. ცოლ-ქმრული კავშირი წმინდა ხელუხ-ლებელია. თქვენ ხშირად ხედავთ შვა-გულო ტყე-ში. ხრიოკი მთის ფრიალოში, ყანაში თოხით მო-მუშავე მარტოკა ახალგაზდა ქალს, ეს ქალი იქ ღამესაც ათევს ხოლმე, მაგრამ ხელის შეხებასაც კი ვერ ვინ გაბედავს, და თვით ქალიც ისეა აღზრ-დილი, რომ ის მხოლოდ თავის ქმრის ნამდვილი ამხანაგია და სხვის წინაშე ის უეჭველად თავს წმინ-დათ იკავს. ქალი მუშაობს უმეტეს შემთხვევაში შინ და გარეთ, მაგრამ არ იფიქროთ, თუ ამ დროს კაცი უსაქმოთ არის, არა, იგიც უეჭველად საქმე-ზეა, მხოლოდ ერთი ჩვეულება კი, პირველ დანა-ხვაზე თვალს ძლიერ ეჩოთირება, ეს ის არის, რომ ხშირად შეხვდებით ახალგაზდა ყმაწვილს თოფ-ია რაღით ხელში, ყანის ჭიშკართან დგას და ქა-ლები ჭირნახულს ეზიდებიან და ან ზურგით სავსე ქალს წინ მიუძღვის და ქალაქში მიდიან. კაცი წინ მიდის და ქალი დატვირთული უკან მისდევს, მხო-ლოდ ამასაც თავისი მიზეზი ჰქონებია და აი რა: საზოგადოდ ლაზებში სასტიკ ჩვეულებად არის გა-დაქცეული სისხლის აღება და ამიტომაც, რაკი მუსულმანი საერთოდ და ლაზი კი განსაკუთრებით ქალს ხელს არ ახლებს არც სასიკვდილოდ, არც გასაძარცვავად და არც ისე, ამიტომ თვით ქა-ლებში განვითარებულა ისეთი წესი, რომელიც ავალებს ყმაწვილ კაცებს, მით უმეტეს თუ მტე-რიც ჰყავს, ტვირთი ზურგში ისეთი მაინც არ აიღოს, რომელიც ხელს შეუშლის ან გა-ქცევაში, ან იარაღის ხმარების დროს. ეს ჩვეუ-ლება იმდენად დამკვიდრებულია ქალების სა-ერთოდ და ქალიშვილების სულსა და გულში განსაკუთრებით, რომ თუ ქალმა ყმაწვილი კაცი გო-დრით დატვირთული და მეტადრე უიარაღოთ ნა-ხა, ის მას აღარ წაჰყვება ცოლად. „რას ვარგა, არც მტერი ყოლია და არც ვაჟკაცი დელიყანტი ყო-ფილა, თვარა გოდრის ზურგში აკიდკას ვინ დააცლიდაო.“

საზოგადოთ ლაზისტანი, როგორცა ვსთქვით მთიანი ადგილია. შავი ზღვის პირებზე დასახლე-ბული. ზღვის პირიდან, თვით უმაღლეს მთის წვე-რვალებამდის სულ შეფერდებაა, ღელე-მდინარე-ები აუარებელი აქ ს. მთელი ლაზიკის ზღვის პირი სოფელი სარფიდან.—(რუსეთის საზღვარშია). რი-ზემდის იქნება ორას ვერსამდის. ყველა სო-ფლებს, რომლებიც მხოლოდ მდინარეების ორი-ვე პირებში და მის ახლო მახლოში არიან გაშე-ნებული აქვს თავისი მისადგომი შავი ზღვიდან საი-დანაც ეს სოფლები თავ თავიანთ „პატარა და დიდ—ნავ გემებით დადიან ხოლმე ერთს ადგილიდან მე-ორეში—ბათომში, რიზეში, ტრაპიზონში და სხვა. სიგანით კი ლაზისტანი შავი ზღვის პირიდან ლა-ზისტანის ხმელეთ საზღვრამდის „დაღასტამდის“ (დიდ მაღალ მთას ჰქვია) იქნება ზოგან 80 და ზოგანაც 50, 60 ვერსამდის, თვით დაღასტის ქე-დამდის კი ზოგან ასი და მეტი ვერსიც არის. ლაზისტანს ერთი მხრით საზღვრავს შავი ზღვა, მე-ორეს მხრით „დაღასტი“ დაემშინები. (ერთნაირი მოდგმაა მუსულმანებისა, რომლებიც სახლობენ ლა-ზისტანის თავზე დაღასტის მთის ფერდო მინდორ-ველებში. ესენი თითქმის ყველანი მოვაჭრე-მეფუ-რნეები არიან ყირიმში და ოდესა—სევოსტოპოლის მიდამოებში, ძლიერ მშვიდი ხალხია და წყნარი, ბევრჯერ მომხდარა რომ საშოვარიდან დაბრუნე-ბული ორმოც-სამოცი ეშმინი ერთად გაუცარცვავს ორ-სამ ლაზს. ამბობენ რომ ამათი ძველი სომხე-ბიდან გამუსულმანებულნი არიანო).

რუსეთის ნაწილში ლაზები სულ იქნება არა-უმეტეს ათასი კომლისა, ასე 5,000 სულამდის. შავი ზღვის პირზე, ბათუმიდან ორი სამი საათის გზაზე. აი ლაზისტანის ზღვის პირების სახელებიც,

სადაც ნავები აქვთ და შესავალ გამოსავალი ზღვაზედ––რუსის საზღვრამდის: სართი, მაკრიალი და კოფმიში. აქ არის რუსეთის საზღვარი ანუ თათრულად „კორდონი“. შემდეგ იწყება ოსმალეთის სამფლობელო; აბუისლოალ, პატარა სოფელია თავის ნავთ მისადგომ-გამოსასვლელით, ამ სოფლის მკვიდრნი მხოლოდ ვაჭრობითა და მეთევზეობით ცხოვრობენ და გარედან საშოვარით, ადგილი და სათესი მიწა ძლიერ ცოტა აქვსთ, ზოგან ცოტა ზეთის ხილიც მოდის; თვითონ ლაზისტანი, გარდა მცირედის, სანახევროდ საყოფი მჭადი და ღომისა და ხილის მეტს არასფერს საბაზროს არ იძლევა, მხოლოდ მადნეული კი, როგორც ამ ბოლო დროს ირკვევა, სპილენძი და ცინკი, ზოგან მარგანეციც მოიპოვება ხოლმე, რომელსაც მხოლოდ ამ ბოლო დროს, ოსმალეთში კონსტიტუციის შემოღებიდან მიაქციეს ყურადღება და ორმოცდა-ათამდის „ზაიავკებიც“ იყო გაკეთებული. იმდენად დიდად საიმედო ნიშნები სჩანს, ზოგან მაინც; რომ უეჭველად ლაზისტანის მთის კალთები დიდ კაპიტალს მიიზიდავს სულ ახლო მომავალში, რის მეოხებითაც, ისიც კარგად შეძლებული ლაზები, ძლიერ კარგად გაიმართავენ ხელს და ფულსაც მოიგებენ, როგორც შრომის მოყვარე ხალხი. ლაზს, როგორცა ვსთქვით, ყოველგან თავისი ელფერი აქვს. მას უმაღლეს წერტილამდის უყვარს თავისი კლდეღრიანი სამშობლო და საქმით გვეუბნებიან იგინი მგოსნის ნათქვამს: „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა“ო. ის თავდაპირველად ლაზია, შემდეგ მუსულმანი და ბოლოს კი ოტამანის იმპერიის წევრი. შენ რომ მას თურქი-თათარი დაუძახო, ამით აწყენინებ. (აბუ ისლაღიდან იწყება, ხოფა, ოსმალეთის სამაზრო ქალაქია, ეს ქალაქი ზღვის პირას არის გაშენებული და გაიყოფება სამათ: „ბუჯავხოფე, „ართახოფე“ და „ასლიხოფე“. აქედან კი იწყება ნავთ მისადგომ-გამოსავალი პატარ პატარა ადგილები, სოფლები და ქალაქები, ერთი მეორიდან ასე თითო ან ნახევარი საათის გზაზედ ზღვით: კისე, პერონიტი, (აქ მარგენიცის მადანია, რომელსაც ევროპიელები ამუშავებენ. მოცხორე, კონცივე, სუმლე, აბუ, ვიწე, არტაშენი, ღელე, ესკი ტრაპიზონ, ბულეთი, ათინა, ლახოს, კელეკ, ზ.ლეკ, ქემერ, (აქ კი თავდება კავკასიის საზღვარი და იწყება მცირე ასია. შემდეგ ცოტაზე კიდევ გადადის ლაზისტანი, მამუდ, მაფაურ, იაკა; არკოტი, ოდრი, ჰემიდიე, ჰუმბრუკ, ჰაიდოზ და რიზე. რიზე კარგა მოზდილი ქალაქია, აქ ზის ლაზისტანის გუბერნატორი.

მთელ ლაზისტანში იშვიათად იპოვნით სხვაგვარის მცხოვრებს, მხოლოდ ლაზები არიან, რომლებიც იმდენად გასაგებად ლაპარაკობენ, მათს ენას მეგრულს, რო სულ მცირედის ყურადღებით ყოველ მეგრელს შეუძლია მიხვდეს და ილაპარაკოს მათთან თავისუფლად. საკვირველი ის არის, როგორ შეინახა, ამ მწიგნობრობის უქონო ხალხმა ასე ხანგრძლივად ოსმალეთის ხელში თავისი ენა. მაგრამ რომ კაცი კარგად დაუკვირდეს მათს პატრიარხალურს ცხოვრებას, არც ეს არის საკვირველი. ლაზი იშვიათად შეირთავს სხვა გვარის ქალს. ის არის მჭიდროდ დასახლებული ერთსა და იმავე ადგილას. არა მგონია, რომელიმე კავკასიის ეროვნებას ასე მტკიცედ ჰქონდეს შენახული თავისი „ტერიტორია“ როგორც ლაზებს, ენაც სწორედ ამიტომ შერჩათ ასე გაურყვნელად, რომ ოჯახში ყოველთვის ლაზურად-მეგრულად ლაპარაკობენ, ბავშვები კი მაინც, შკოლაში წასვლამდის, სხვა ენას ვერ გაიგონებენ გარდა ლაზურისა, ქალებმა მხოლოდ ეს ენა იციან.

მთელი ლაზისტანის მცხოვრებნი არის დღემდის ცნობილის ოსმალეთის სტატისტიკის მიხედვით 200 ათას სულამდის, მათი ქვეყანა სრულიად ხელუხლებელია, ერთი მეორესთან მჭიდროდ დაკავშირებული, აქა იქ ქალაქებში თუ სადმე ნახავ ბერძნებს, მოვაჭრე მეფურნეებს ან მჭედლებს და ისიც უფრო რიზის ახლო მახლოში ქემერს იქით. ურიები და სომხები ლაზისტანში სრულიად არ არის.

მთელი ლაზისტანი წარმოადგენს ერთს მჭიდროდ დასახლებულ ეროვნებას, ერთის ენით და ერთის სჯულით. ყოველგან და ყოველთვის იგინი ერთად არიან.

შესაძლებელია მოსისხლე მტერი იყოს ლაზი თავის მეზობლის, მხოლოდ თუ მათ სოფელს, ანუ საერთოდ ლაზისტანს რომ საფრთხე მოელის, აქ კი, ერთმანერთის შურსა და მტრობას ადგილი აღარა აქვს, ყველა ერთად ეკვეთებიან მტერს. ლაზისტანის ჯარი ოსმალეთში ერთ საუკეთესო მეომრებად ითვლება. საჭიროების დროს ლაზებს შეუძლიათ მტრის წინაამდეგ ორმოცდა-ათი-ათასი კარგად გამოცდილი მეომარი დაუყენოს. 12 წლიდან 60 წლამდე ლაზი იარაღს ხელიდან არ დააგდებს, ხმარებაც კარგად იცის. არა მგონია კიდევ იყოს სადმე, კავკასიაში მაინც ასეთი ხელ უხლებელი „ტერიტორია“ და საოცარი „ერთობა“.

იასე რაჭველი.

ჰანგები.

5

შენ გახდი ჩემი სასტიკი მტერი,
პირში მიმეცი მკაცრსა გმობასა;
ბოლოს მომიღე გულსა მახვილი,
არ დაერიდე ულმობლობასა,
ხომ აღისრულე გულის წადილი,
მითხარი ახლა რაღა გატირებს?!.
ვაი, ჩემს იქით ჰხედავ სიობლეს,
ღრმად შეცდომასა და მწარე ფიქრებს.

6.

ჩემს გულში სცხოვრობს მწარე ნაღველი,
ვით მდუმარ ტყეში სასტიკი გველი;
აქ ჰპოვა ბინა მან სამარადო,
იგია ჩემთან აწ განუყრელი.
და, როს ბულბული ჩემს გულში ღამ-ღამ
სიყვარულს კვნესით ეძახის, უხმობს,—
ნაღველი მკაცრად მიუგებს ხოლმე:
„ის აქ სცხოვრობდა და აღარ სცხოვრობს!“

7.

დაგშორდი, მაგრამ დაობლებული
მრავალ ჯერ უკან ვიხედებოდი;
გული მწუხარე შენ გიგონებდა
და მე საბრალო მწარედ ვკვნესოდი.
მორჩა... შთაინთქა იგი ლაჟვარდიც,
რომლის ქვეშ შენი კოცნით ვსტკბებოდი,
სად ბედნიერი შენ გიგალობდი,—
მაგრამ დაგშორდი და მარად მოგწყდი...
რაღა ვეძიო? იგიც დავკარგე,
რაც იყო ქვეყნად ჩემი იმედი!
თურმე ალერსი და ჩვენი ტრფობა
გაწყრისა იყო წინამორბედი.

8.

რა წამს დაგშორდი, მწარეთ დავღონდი,
სევდა ეწვია საბრალო გულსა,
შენმა ფიქრებმა სულ დამადუნეს,
წამერთო ლხენა დაობლებულსა.
თუ აგრე მალე გამშორდებოდი,
რათ შთამინერგე გულს სიყვარული?..
მაგრამ ერთს გეტყვი უკანასკნელად:
ერთი მქონდა და ერთს გიძღვენ გული.

ი. მჭედლიშვილი

შინაური მიმოხილვა.

—

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების უკანასკნელმა კრებამ მეტად საგულისხმიერო გადაწყვეტილება მიიღო—რაც შეიძლება, მალე აიგოს მუზეუმიო. ამ საგნის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა, რომ დღეს ვინც ქართული წერა-კითხვა იცის და საზოგადოდ ესმის ჩვენი კულტურული წინსვლის საქმე, მისთვის ნათელი უნდა იყოს, თუ რაოდენად საჭიროა ძველ კულტურულ ნაშთებს შესაფერი ბინა მოუპოვოთ. ხოლო თუ მუზეუმის აგებას აქამდე ბოლო არ მიეცა, ეს ჩვენი უსახსრობის და დაუდევრობის ბრალია. საქმეს არ ჰყავდა შესაფერი ხელმძღვანელი, რომელსაც თავის მოღვაწეობის მიზნად დაესახა ეროვნულ მუზეუმის აგება და მოუსვენრად დღე და ღამ ძუშაობას, ხალხის ჩაგონებით და წაქეზებით საყოველთაო წადილი განეხორციელებია. კრებამ აგებაც გადასწყვიტა და საამშენებლო კომისიაც აირჩია. ამ კომისიას ბევრი სამძიმო საქმე ექნება: თანხის შეგროვება, ადგილის არჩევა და შეძენა და სხვა. თანხის შესაგროვებლათ კრებამ სხვათა შორის გადასწყვიტა საყოველთა ხელის მოწერა გამართოს. იმედია ამ გადაწყვეტილებას ჯეროვანი ყურადღებით მიეგებებიან როგორც კერძო პირნი, ისე საზოგადოებრივი დაწესებულებანი და ამით გაგვიადვილებენ ერთის საშვილიშვილო საქმის დაგვირგვინებას.

* *
*

გაზეთ „დროებას“ გაუგის, რომ ტფილისის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს გადაუწყვეტია ათასი მანეთით დახმარება აღმოუჩინოს რუსულ გაზეთს „ზაკავკაზიეს“. ჩვენ არ მივაქცევდით ყურადღებას ამ ფაქტს, რომ არ იყოს საზოგადო მისწრაფების გამომჟღავნება და ჩვენ საზოგადოებრივ ძალთა უკუღმართად მსვლელობის შედეგი. გადაგვარებამ, დაუძლურებამ და თავის თავის უპატივცემულობამ და უიმედობამ ჩვენს ნასწავლ ხალხში შეჰქმნა ვრთნაირი მიმდინარეობა—თავის ძალთა უარყოფა და სხვის წინაშე წრეს გადასული ფორთხვა,—მოდით, შეგვიბრალეთ და გვიშველეთო. რასაკვირველია, სასტიკ ბრძოლაში ჩვენს-მშველელად არავინ გამოსულა, ხოლო ჩვენს მუდარას ჩვენი დამცირების მეტი არაფერი შედეგი მოჰყვა. ასი წლის გამოცდილებამ საკმაოდ აუხილა თვალი ჩვენი საზოგადოების შეგნებულს ნაწილს და აშკარად დაანახვა, თუ რა შემცდარს გზას ადგა აქამდის. მაგრამ ჩვენში ჯერ კიდევ ბევრი დარჩა, რომელთაც ძველი გზით სიარული არ მოიშალეს და თავისივე სუსტი ძალ-ღონით თავის გამანადგურებელ ძალებს ჰკვებავენ და ხელს უწყობენ. ამ მისწრაფების ერთი შედეგთაგანია ტფილისში საკუთარ რუსულ გაზეთის ქონება. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა გონებრივი ავლადიდება მოიპოება ტფილისის გაზეთებში, ისიც ცხადია თვალ-ხილულთათვის, რომ ამ გაზეთებში ქართველებს საჭირბოროტო საკითხებზე არაფერი, თითქმის არაფერი იწერება, მაგრამ მაინც ძველ გზისთვის ვერ უღალატნიათ და იმის მაგიერ, რომ თავის საკუთარ,

ოდესღაც აყვავებულ და დღეს დასუსტებულ ქართულ ლიტერატურას ხელი შეუწყონ, მაინც სხვას ეპოტინებიან. და ამ დამღუპველმა მისწრაფებამ იმდენად დააქუცმაცა ქართული საზოგადოება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ერთი სერიოზულად მოწყობილი გაზეთი ვაზოგინოთ, ვერ შევსძელით რამდენიმე მწერალი ისეთ პირობებში ჩაგვეყენებინა, რომ ლიტერატურული შრომით ეცხოვრათ და მთელი თავისი ღონე მარტო ლიტერატურასთვის შეეწირათ. ამიტომაც, რადგან ჩვენ ჩვენივე ცხოვრებას ნაკლებად ვიცნობთ, ვერ გაგვითვალისწინებია ჩვენი მდგომარეობა, ვერ შეგვისწავლია საფუძვლიანათ ვერც ერთი დარგი ჩვენი არსებობისა და სადაც თვალხილულობაა საჭირო, იქ სიბრმავეს ვიჩენთ. და ამ დროს, როცა მთელი ჩვენი ძალ-ღონე უნდა მოვიკრიბოთ, რომ საქმეს უშველოდ და საკუთარ ფეხზე დავდგეთ, ჩვენი საზოგადოებრივი დაწესებულება განზე დგება და თავისი გამხნევებით, ზნეობრივი და ქონებრივი დახმარებით ასაზრდოებს და აძლიერებს ჩვენ წინააღმდეგ მომართულ ძალებს, ნუ თუ ასეთ მიმდინარეობას დასასრული არ უნდა ჰქონდეს?

*
* *

გაზეთ „დროებაში“ მოთავსებულია მეტად საფუძვლიანი წერილი იმის შესახებ, თუ რა უჯდება სოფელს მთავრობის მამასახლისთა შენახვა. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩვენში არსად არ მიუღწევია პატარა მოხელეების აღვირ წახსნილობას იმ წერტილამდე, როგორც ქართლში. ყოველ ნაბიჯზე გლეხის ინტერესები იქელება, მას არბევენ, ატყუებენ, ერთს ორად ახდევინებენ, მის სასოფლო სამმართველოშიაც ქართულ ენას არ აყენებენ, მას არაფერში ენდობიან და მის გამგეთ თავზე ხელაღეულ ხალხს იწვევენ. გასძვრა გლეხს ტყავი, მაგრამ შველა რომ არსაიდან არის?

*
* *

გაზეთი „მომავალი“ გადმოგვცემს, რომ სოფელ ქვამლაში, რომელიც აჭარა-გურიის საზღვარზეა, დაუარსებიათ სამისიონერო სკოლა. ეს მოვლენა არა სასურველია ჩვენთვის. ჩვენ კარგად ვიცით პოლიტიკურ პირობების გამო სარწმუნოებრივმა სხვადასხვაობავ რა ზიანი მიაყენა ქართველობას, რომლის მესამედი ოსმალეთში გადაიხვეწა. ეხლაც მუსულმანი ქართველობა დიდის ეჭვის თვალით უყურებს ყოველივე ნაბიჯს მისიონერებთა და სულ იმის შიშშია, ძალა არ დაგვატანოს და სარწმუნოება არ გამოგვაცვლევინოსო. ეს შიში უბრალო ხალხში იმდენად ძლიერია, რომ ხშირად ის თავის ვინაობასაც მალავს და ქართველობას უარჰყოფს. ასეთ მდგომარეობაში მცირედი ცდაც საკმარისია, რომ ქართველების მტრებს საშვალება მიეცეთ ხალხში არსებული ეჭვი გააზვიადონ და მუსულმან და ქრისტიან ქართველთა შორის მტრობა ჩამოაგდონ. ამიტომაც მთელი ჩვენი მეცადინეობა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ სარწმუნოება ნეიტრალად გავხადოთ, პატივისცემით მოვეპყრად ერთმანეთს და ვეცადოთ ის ნდობა აღვადგინოთ მაჰმადიან ქართველთა შორის, რომელიც დავკარგეთ მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთისკენ ცქერა დავიწყეთ.

სულნი თანაზიარნი

შ ე ლ ლ ი ს ა

მე, ვითა სული, იმის გულში ვიმყოფებოდი,
როგორც ყვავილი ნიავისგან, ვთროდი, ვდნებოდი.
მისსა გულის თქმას იდუმალსა ყური მოვკარი
და მუნ ვიპოვე მისი სულის უმანკო კარი.
რაიც არ ეთქვა და რაც ჰქონდა გულში ფარულად,
ჩემის სულითა გავიგონე, ვიგრძენი სრულად.
მთელი ბუნება და ქვეყანა მეც შევიყვარე,
როგორადაც რომ მას უყვარდა ყოველი მხარე.
მე იმის გულში წყარო ვპოვე ნეტარ ხმებითა
და მას მივეცი ჩემი თავი დავიწყებითა.
ამ უხვს ნაკადულს სიცოცხლისას ქვეყნადა ვწურავ,
შიგა ვბინაობ მე მუდამ ჟამს და შიგა ვცურავ.
თან ცაში ვფრინავ, ვით არწივი მძლავრი ფთთებითა,
გარშემორტყმული ნაცნობ ნისლით და ღრუბლებითა.

რ. ბებიაშვილი.

მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდგან.

მომზადების ხანა.

VI

რომ ჯერ კიდევ მე-V საუკ. საქართველოში წირვა-ლოცვა სწარმოებდა ქართულს ენაზე, ამას მოწმობს მოთხრობა წმ. საბაზე (პალესტინაში დაარსა მონასტერი) და მისი თანამედროვე და მეზობელი—წმ. თეოდოსიაზე. ამ მოთხრობიდგან ხჩანს, რომ ქართველები და სომხები მონასტერში წირვა-ლოცვას ასრულებდნენ თავიანთ სამშობლო ენებზე. წმ. თეოდოსეს ჰქონდა მონასტერში საეკლესიო წიგნები სამს ენაზე სამი ერის ბერებისათვის, რომლებიც მიდიოდნენ მასთან ლოცვა-კურთხევის და დარიგების მისაღებად: ბერძნებისათვის, სომხებისათვის და ქართველებისათვის (იხ. პ. იოსელიანი: „Описаніе древн. г. Тифл.“, გვ. 153; „Исторія св. града Іерусалима“, წ. I. გვ. 176—177.)

მეხუთე საუკუნიდგან მეათემდი, როგორც ვიცით სარწმუნო ისტორიულ წყაროებიდგან, გადაითარგმნა ქართულად არამც თუ საეკლესიო და საღმრთო წიგნები

არამედ ბევრი წმინდა მამების ქმნილებანიც. (იხ. პრ. ცაგარელი: „Свѣдѣнія“.., გვ. XXVI, 16). მაგრამ კითხვა იბადება: თუ საქართველოში XI საუკ. გადათარგმნილი იყო ყველა საეკლესიო წიგნები და სადმრთო წერილი, მაშინ რა საჭირო იყო მათი ხელმეორედ თარგმნა და რისთვის დასდევს ექვთიმემ და გიორგი მთაწმ. ეგოდენი შრომა და ჯაფა ხელმეორედ წიგნების თარგმნას? და თუ წმ. ექვთიმემ და გიორგიმ არამც თუ მეტად, არამედუსაჭიროესადაც კი სცნეს ხელახლად წიგნები სთარგმნა, მაშ რა გარამოებამ აიძულა ისინი?

უმთავრესი მიზეზი ხელმეორედ თარგმნის საჭიროებისა იყო ქართულ წიგნების გაფუჭება, გარყვნა. ზოგიერთი წიგნები ფუჭდებოდა გადამწერლების უყურადღებობით და უმეცრებით; ზოგს კი განძრახ, მოფიქრებულად აფუჭებდნენ (იხ. ბაქრაძე „Древ. вар. груз. четвер.“, Труды V ар. с., გვ. 218—220; მისივე „Статья по исторіи и древ Грузіи“, გვ. 32—33; საბინინი „საქ. სამოთ.“, გვ. 487—488).

საყდრებში ერთგვარი კითხვის დასამყარებლად და შეცდომების გასასწორებლად აუცილებლად საჭირო იყო გადათვალიერება ყველა ქართულ წიგნების თარგმანისა და შედარება ბერძნულ დედანთან.

ცნობილი მოღვაწე გიორგი დაყუდებული, როდესაც ურჩევდა გიორგი მთაწმინდელს წასულიყო ათონზე, ასე ეუბნებოდა მას: „დღემდი ჩვენი სამშობლო (საქართველო) ინახავდა შეურყევლად სარწმუნოებას, რჯულს და შეუმწიკვლელად ჰქონდა სადმრთო წიგნები. დღეს კი, რადგანაც საქართველო დაშორებული არის საბერძნეთს, მასში ავრცელებენ სომხები თვისს შეცდომილებას და წიგნებს, რომლებიც ითარგმნებიან მათი ცდომილების შესაფერად (იხ. საბინინი „Полное окизн. св. груз. пер.“, წ. II, გვ. 170; მისივე საქ. სამოთ.“ გვ. 477). რომ სომხების წინასწარმოფიქრებით რყვნიდნენ ქართულ წიგნებს, ამაში არავითარი ეჭვი არ არის. ცნობილია, რომ სავსებით სამღვდელოება ყოველივე ღონისძიებას ხმარობდა ჩაეთრია ქართველები თვისი სარწმუნოებრივ ცდომილებაში. ამას ხელს უწყობდა საქართველოს საეკლესიო და პოლიტიკურ საქმეების არევ-დარევაც. მიუთითებთ, როგორც მაგალითზე, ქსნის და ურბნისის სახარებებზე, რომლებიც არხეოლოგ ბაქრაძემ 1881 წ. აღმოაჩინა. „ეჭვს გარეშეა, ამბობს პატივცემული ისტორიკოსი, მათი ღრმა სიძველე. ორივე სახარება დაწერილია ასო-მთავრულ საეკლესიო ალფავიტით. საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ალფავიტით იწერებოდა წიგნები მხოლოდ მეათე საუკუნემდი; მე-XI საუკ. მთელს საქართველოში ასო-მთავრული ალფავიტი უკუგდებულ იქმნა და გავრცელდა უფრო ადვილი ჩქარ-წერა. (იხ. „Труды V ар. . въ Тифл.съѣз, 1881, გვ. 216—217). სხვათა შორის, ბაქრაძის სიტყვით, ასეთს ძველს სახარებასაც კი ეტყობა გავლენა სომხურის ენისა და სომხურ სარწმუნოებრივ რწმენა-შეხედულობისა. ბ. ისტორიკოსს შეუდარებია ეს სახარებები გიორგი მთაწმინდელის თარგმანთან და აღმოჩენილა, რომ სამივე სახარება ცალ ცალკე თარგმანი ყოფილა; და სამივე დიდათ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; უძველესად კი უნდა ჩაითვალოს ქსნის და ურბნისის — სომხებისაგან დაშავებული.

ახლად დამკვიდრებული და ჭაბუკი საქართველოს ეკლესია და მისი წარმომადგენლები გულმოდგინებით იცვდნენ სადმრთო წიგნებს გარყვნა-დაშავებისაგან და მკაცრად ამხილებდნენ სომხებს სარწმუნოებრივ ცდომილებისათვის. [1]) მაგრამ ქართველებმა მაინც ვერ შესძლეს არც აცდენა და არც მოშორება-განყენება სადმრთო ტექსტის გაფუჭებისა, რადგანაც აბა ვის შეეძლო გამუდმებით თვალყური ედევნებინა გადამწერლების და არა-მკითხე შემსწორებლების თვითნებობისათვის!

რათა სამუდამოდ ბოლო მოღებოდა სადმრთო ტექსტის შელახვას და განსხვავებას, წმ. გიორგი მთაწმინდელმა, ღრმად განათლებულმა და ზედ მიწევნით მცოდნე ბერძნულის ენისამ, გადაათვალიერა ყველა არსებული თარგმანი ქართულს ენაზე და შეასწორა მართალ ბერძნულ ტექსტის მიხედვით. ფასდაუდებელი ღვაწლი ათონის მამათა (იოანნე, ექვთიმე, უმთავრესად კი გიორგი) იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მათ გადასთარგმნეს, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, დაამთავრეს თარგმნა სადმრთო წიგნებისა ქართულს ენაზე, არამედ იმაში, რომ მათ: ა) საქართველოს ეკლესია მოაშორეს ანტიოქის პატრიარქის ზედ-გავლენას და დაუახლოვეს კონსტანტინეპოლელს, ე. ი. შემოიღეს ამ პატრიარქის წირვა-ლოცვის წეს-რიგი; ბ) შეასწორეს ქართული თარგმანი სადმრთო წიგნებისა (წინეთ სირიულ და ებრაელურ ენებიდგან ნათარგმნი) ბერძნულ ტექსტის მიხედვით და გ) მოსპეს ზოგიერთი ეკლესიური ჩვეულებანი და განწესებანი, რომლებიც არჩევდნენ ქართულს ეკლესიას სხვა ეკლესიებიდგან. ასეთი დიდმნიშვნელოვანი რეფორმა, როგორც ვიცით ისტორიიდგან, მოხდა ბუნებრივად, ძალდაუტანებლად. ამ რეფორმებისა გამო საქართველოს ეკლესიაში არ მომხდარა არავითარი უთანხმოება, შუღლი შეჯიბრება-შეტაკება, არ დაბადებულა, არ შექმნილა ისეთი განხეთქილება (расколъ), როგორიც მოხდა რუსეთის ეკლესიაში.

ასეთი საეკლესიო რეფორმების ისტორიაში თითქმის უმაგალითო ფაქტი, — ფაქტი მთელი ქართველების ერთსულობისა და სრული სოლიდარობისა — აიხსნება მხოლოდ იმ შესანიშნავ ტაქტით და ადამიანის სულის ღრმა ცოდნით, რომელიც გამოიჩინეს ჩვენმა რეფორმატორებმა ამ პასუხსაგებ საქმეში.

რადგანაც ღრმად დარწმუნებული იყვნენ იმაში რომ, ძალად მიჩრა და თავზე მოხვევა რისიც გინდა იყოს, არას დროს მიზანს ვერ აღწევს, ამისთვის ჩვენმა რეფორმატორებმა აირჩიეს გზა თავისუფალ არჩევისა და თანხმობისა და, მართლაც, ბრწყინვალეთ აასრულეს დაწყებული საქმე. აი, მაგალითად, რა სახით და რა კი-

[1]) ამის შესახებ ვრცლად იხ. საბინინი: Исторія груз церк“ .. გვ 113—184).

ლოთი აძლევდა გიორგი მთაწმინდელი საქართველოს ეკლესიას და ხალხს წინადადებას მიეღოთ ახალი კონსტანტინეპოლის წეს დებულება: „ქართველებს წინეთ ჰქონდა სხვა წეს-დებულება. ეს ჩემი კი კონსტანტინეპოლელი წეს დებულებაა: ამისათვის გაძლევთ ასარჩევათ: ვისაც რომელი წეს-დებულება მოეწონება, დეე მას მისდიოს—ბერძნულს ანუ იერუსალიმელს“. (იხ. თ. ჟორდანია „ქრონიკები“, წ. I, გვ. 121).

რასაკვირველია, ასეთი გონივრულად, სუდგრძელად და შეგნებულად დაწყებული საქმე დაუბრკოლებლად მალე დაგვირგვინდა. ქართველებმა (მომეტებულად სამღვდელოებამ) შეადარეს ერთმანეთს ეს ორი წეს-დებულება (ხინასი—ძველი და კონსტანტინეპოლელი—ახალი) და მიიღეს ნებაყოფლობით უკანასკნელი, რადგანაც ის აღმოჩნდა უკეთესი. მართალია, ეს რეფორმა მიღებულ-შეთვისებულ იქნა თანდათან და არა ერთბაშ.თ. როგორც სჩანს ჩვენდამი მოღწეულ ისტორიულ დოკუმენტებიდგან [2]), ძველი წეს-რიგი რამოდენიმე ხანს აქა-იქ კიდევ იყო ხმარებაში, და ყავდა მომხრეებიც. მაგრამ მე-XII საუკ. ბოლოს და მე XIII ს. დასაწყისში ძველი წეს-რიგი გარემოებათა ბუნებრივ მსვლელობის მეოხებით სრულიად გამოვიდა ხმარებიდგან.

იპ. ვართაგავა.

---

[2]) გელათის, მოქვის, ცაიშის, მარტვილის საყდრების წეს-დებულებიდგან, იხ. თ. ჟორდანია ,,ქრონ.‘‘ წ. I, გვ. 112.

რედაქტორ-გამომცემელი **სვ. ყიფიანი.**

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დროება

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. მომავალ 1910 წელს გაზეთი „დროება“ გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1909 წ. გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოცემას გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება **სურათებიანი დამატება** დამატება გამოვა კვირაობით. გაზეთის ფასი: წლით, როგორც ქალაქში ისე ქალაქ-გარედ 8 მან. და 50 კ. ნახევარი წლით 4 მ. და 80 კ., ერთი თვით 80 კაპ. (1 მანეთის მაგიერ). საზღვარ გარედ 12 მანეთი.

ცალკე ნომერი ყველგან **ერთ შაურად.** ≡ დამატებიანი ნომერი (კვირისა) შვიდ კაპეიკად ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ **კედლის კალენდარი**, კვირეულის ფურცლებით

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგ. წიგნის ალაზიაში ი. ავალიშვილთან. ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან, ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში—სოფრომ ტარუაშვილთან.

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვი 1 მ. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირაუქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, газ. „Дроэба“.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისთვის

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

1910 წელსაც გამოკა იმავე პროგრამით, როგორც წელს გამოდის. გაზეთი წლიურათ ეღირება თბილისში და თბილის გარეთ 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ 14 მან. წლით, ნახევარი წლით 7 მან., ხელის მოწერა მიიღება თბილისში „მომავალი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჰიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაქვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში—პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Кон. Цуладзе.

გამოვა 1910 წელს საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

წელიწადი მეექვსე, ხელის მოწერა მიიღება თბილისში „ნაკადულის„ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტი, 8) და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში (თავად-აზნაურობის ქარვასლა).

1910 წელს 1-ლ იანვრიდან 1911 წლის 1-ლ იანვრამდის მიეცემა ხელის მომწერლებს: 24 წიგნი მცირე წლოვანთათვის, 12 წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიათ საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო პოპულიარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის): 1) დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი—ზღაპარი ევალდისა, 2) მარჯნები—ზღაპარი ევალდისა, 3) თორმეტი და—ზღაპარი ევალდისა, 4) ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

ფასი ჟურნალისა: წლიურად—ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი საზღვარ გარედ წლიურად—შვიდი მანეთი, ნახევარი წლით—ოთხი მანეთი. მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მანეთი.

რედაქტორი: **მარიამ ივანეს ასული დემურიასი.** გამომცემელი: **თ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

1910 **წლის 1 იანვრიდან**

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„ფონჯე“

წლიურათ გაზეთი ეღირება —	3 მან. 50 კაპ.
ნახევარი წლით — — — —	2 მან. — კაპ.
სამი თვით — — — — —	1 მან. 20 კაპ.

ვინც 20 დეკემბრამდე მომავალი წლისთვის გამოიწერს გაზეთს, ყველა დეკემბრის №№ უფასოთ დაეთმობა.

ადრესი: Кутаисъ, редакція „ПОНИ“, Балахванская улица, домъ № 37.

ხელის მოწერა შეიძლება აგრეთვე ისიდორე

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა, სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა № 5.